პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

173 კვირა, 30 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 30 ივლისი 1922 წ. № 173

ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს.

პარტიის ამიერ-კავკასიის ყველა წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

რუსეთის კომ-პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა თავის უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე დაადგინა შეუდგეს ტრაგიკულად დაღუპული ამხანაგი **კამოს** (სიმ. პეტროსოვის) ხსოვნის საპატივსაცემო კრებულის გამოცემას.

ეს კრებული იქნება არა მარტო და იმდენათ რევოლიუციონერ-კომუნისტის ხსოვნის აღსანიშნავი ვალის მოხდა, არამედ სახელმძღვანელოც მომავალ მებრძოლთათვის კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიაზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. კრებულის მასალების მიხედვით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის კინო-სახელოსნოს განზრახვა აქვს დაამზადოს კინემატოგრაფიული სურათი, სადაც მაყურებლის თვალწინ გაივლის ამხ. **კამოს** მთელი 20 წლის რევოლიუციონური მოღვაწეობა, მისი შეგნებული ცხოვრება,—რომელიც მდიდარია თავდადების მაგალითებით, პროლეტარული რევოლიუციისადმი ერთგულობით და ნებისყოფის ზეკაცური დაჭიმვით მშრომელი ხალხის მტრების დამარცხებისა და განადგურებისათვის.

„კამოს“ კრებულის გამოსაცემი წინასწარი მუშაობის სახელმძღვანელოთ არჩეულია სპეციალური კომისია.

ამიერ-კავკასიის რაიკომი მიმართავს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და კომპარტიის ყოველ წევრს, მიიღონ რაც შეიძლება ცხოველი მონაწილეობა ამ კრებულის დამზადებასა და გამოცემაში. ყველანი, ვინც კი იცნობს დაღუპული ამხანაგის ბიოგრაფიას ან მისი რევოლიუციონური მოღვაწეობისა და ცხოვრების ცალკე თვითეულ ეპიზოდს, ვალდებული არიან წარმოადგინონ კომისიაში თავისი შენიშვნები, მოგონებანი, დახასიათებანი და სხვა.

ვისაც არ ეხერხება ლიტერატურული ენით წერა მით ნუ შეაფერხებს ეს გარემოება, აგვიწეროს თავისი ცნობა, როგორც მას ეხერხება—კომისია გამოიყენებს ყველა ამ მასალებს და გადაამუშავებს მას ლიტერატურულათ.

ვისაც კი აქვს ამხ. **კამოს** ფოტოგრაფიული სურათი, მისი წერილები და სხვა, ვალდებულნი არიან გადაუგზავნონ ისინი კომისიას; მასალების გამოყენების შემდეგ ასეთები უკანვე დაუბრუნდებათ მათ მესაკუთრეთ.

კრებულში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან რუსეთელი ამხანაგებიც.

ერთი აუცილებელი პირობაა: არ გადასდვათ მუშაობა, არამედ დაუყონებლივ შეუდექით იმის სისტემატიურად აღწერას, რაც თვითეულმა ამხანაგმა იცის **კამოს** შესახებ. კრებული უნდა გამოიცეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ოქტომბრისა.

მასალები უნდა გამოიგზავნოს უშუალოდ ან პარტორგანიზაციების საშუალებით ამიერ-კავკასიის რაიკომში. (თბილისი, პეტრედიდის ქუჩა № 8).

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ორახელაშვილი**.

სიმშილის და ნგრევის აღსასრული

საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის ერთი სტიქიური მოკავშირე მიემატა შარშან პროლეტარულ რევოლიუციის და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ ახსოვლობაში გვაქვს ის გაუგონარი სიმშილი, რომელიც დაატყდა თავზე საერთოდ საბჭოთა ფედერაციას, განსაკუთრებით კი რუსეთს. პურეულის ბეღელი ვოლგის მხარე, ყირიმი და სხვა ზოგიერთი რაიონები დაიმშა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აქ პურნახული თითქმის სულ არ მოისულა, და ათეული მილიონებით მშრომელი ხალხი ფიზიკური განადგურების წინაშე დადგა.

კონტრ-რევოლიუციონერები, როგორც შინაური, ისე საზღვარ გარეთის, სიხარულს მიეცნენ. რუსეთის მუშებსა და გლეხებთან იარაღით ბრძოლაში სასტიკად დამარცხებულნი, ისინი მთელ თავის იმედს სიმშილზე ამყარებდნენ, რომელსაც საბჭოთა მთავრობა, მათი აზრით, თავს ვერ გაართმევდა; გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხი აჯანყდებოდა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, დაამხობდა მას, და მთელი რუსეთი საჯიჯგნელად ჩაუვარდებოდა ხელში გაუმაძღარ და მსუნაგ მსოფლიო მტაცებლებს. რევოლიუციის მტრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რუსეთში არსებული მძიმე მდგომარეობა უფრო გაემწვავებიათ და ხელი შეეშალათ დამშეულთა საქმის ორგანიზაციისათვის. სიმშილის ბლოკადა კაპიტალისტურ ქვეყნების მხრით, შიგნით ეკლესიის „თავადების“ შეთქმულობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც მოინდომა საეკლესიო განძეულების გამოყენება დამშეულთა დასახმარებლად, ესერების და სხვა ბანდიტური შაიკების მიერ აფეთქება სასურსათო საწყობების, სურსათით დატვირთულ მატარებლების და სხვა,—ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა სიმშილის ნიადაგზე მდგომარეობის უფრო გამწვავებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

მართლა უაღრესად მძიმე იყო მდგომარეობა, საშინელი იყო მშრომელ მასსების გაჭირვება. მაგრამ ამან ვერ დასძლია, ვერ შეარყია საბჭოთა ხელისუფლება, ვერ გატეხა გაჭირვებული ხალხიც. მთავრობის გმირულმა ღონისძიებებმა ერთი მხრივ და მშრომელ მასსების რევოლიუციონურმა შეგნებამ და ამტანლობამ მეორე მხრივ ბოლოს და ბოლოს დასძლიეს ეს უბოროტესი სტიქიური მტერიც.

ამასობაში უკვე ახალ მოსავალმა მოუწია და მდგომარეობაც არსებითად იცვლება. ქვემოდ იბეჭდება ფრიად საყურადღებო ცნობა მოსავლის შესახებ საბჭოთა რუსეთში. თითქმის ყველა რაიონებში ძალიან კარგი მოსავალია, ზოგან კი საშუალო მოსავალი, სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, უდრის ორი მილიარდ შვიდას მილიონზე მეტ ფუთს. მთელი რიგი რაიონები უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მოსახლეობა სულზე 20—21 ფუთით, ზოგი რაიონები კი 37 ფუთით სულზე, დამშეულ გუბერნიებს ეყოფათ საკუთარი პური. სასურსათო გადასახადი დააკმაყოფილებს არმიას და სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთ. გარდა ამისა, პურის გადასახადის ნაწილის გამოყენება შესაძლებელი იქნება მეურნეობის აღორძინების და გაფართოვების მიზნებისათვის. შინაური მოსახმარად საჭირო პურეულის გარდა დარჩება კიდევ 150—200 მილ. ფუთი, რომლის გაზიდვა შეიძლება საზღვარ-გარეთ.

ასეთია ეს ცნობა.

პირდაპირ განუზომელი მნიშვნელობა აქვს ასეთ მოსავალს მთელი საბჭოთა ფედერაციისათვის.

საბოლოოდ დაიმსხვრა კონტრ-რევოლიუციონერების იმედები სიმშილით მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დახრჩობისა. რუსეთის მშრომელი მასსები თავისუფლად ამოისუნთქავენ და უფრო გულდამშვიდებულნი განაგრძობენ იმ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელშიაც ისინი კარგა ხანია უკვე არიან ჩაბმულნი. კარგი მოსავალი ხელს შეუწყობს მრეწველობის აღორძინებას და სოფელსა და ქალაქს შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას, რაც თავის მხრივ განამტკიცებს მუშებისა და გლეხების ძმურ კავშირს.

ამიერიდან ნივთიერად უზრუნველყოფილი იქნება არა მარტო მწარმოებელი მუშა, რომელიც აღარ მოწყდება სამრეწველო ცენტრებს და ამნაირად გაამაგრებს ხელისუფლების ბაზას,—არამედ წითელი არმიაც. ამით რესპუბლიკის თავდაცვითი უნარი გაიზრდება და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა განმტკიცდება.

საერთოდ მოსავალთან დაკავშირებით მოსალოდნელი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება კიდევ უფრო ასწევს საბჭოთა ფედერაციის წონას საერთაშორისო მასშტაბით და იძულებულს გახდის ევროპის სახელმწიფოებს მისაღებ პირობებზე განაახლონ მასთან ურთიერთობა.

რუსეთის მოსავალს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენი ქვეყნისთვისაც. რუსეთმა ჩვენ საგრძნობი დახმარება აღმოგვიჩინა შარშანაც, როცა თვითონ უკიდურესად უჭირდა.

წელს, მართალია, ჩვენშიც კარგი მოსავალია მოსალოდნელი, მაგრამ მაინც მარტო საკუთარი პურით ჩვენ თავი ვერასოდეს ვერ გაგვქონდა. და, ეჭვი არ არის, რომ დიდი საბჭოთა რესპუბლიკა ეხლა, როცა ამის საშუალება მას გააჩნია, მით უმეტეს გაგვიწევს საკმაო დახმარებას.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 29 ივლისი (რადიო). წითელ არმიელთა საერთო საქალაქო კონფერენციაზე ამხ. სემაშკომ, უპასუხა რა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე ამხ. ლენინის ჯანმრთელობის შესახებ, განაცხადა: „ამხ. ლენინის ჯანმრთელობა სწრაფათ უმჯობესდება. იგი კარგად გრძნობს თავს, დაიწყო მეცადინეობა და იღებს ამხანაგებს მიმდინარე საკითხების შესახებ დირექტივების მისაცემად. რაც შეეხება ხმებს პარალიჩისა და სხვა ავადმყოფობათა შესახებ, რაზედაც კუთხეებში ჩუმ ჩუმად ფურჩულობენ მე უნდა განვაცხადო, რომ ყოველივე ეს სიცრუეა თავიდან ბოლომდე არას დროს ილიჩს არავითარი პარალიჩი არ ქონებია, არას დროს არ წართმევია მას მოძრაობის შესაძლებლობა“. დამსწრეთა ცხარე ტაშის ცემის ქვეშ ამხ. სემაშკო აცხადებს: „ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვიყოთ—ჩვენი ბელადი ჯანმრთელია მსოფლიო რევოლიუციის საკეთილდღეოთ“.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირი

აგვისტოს 10 ტფილისში დანიშნულია ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველათ არაა რომ ამიერ კავკასიის პროლეტარიატი ერთად იკრიბება და თავის გაჭირვება-დალხინებაზე მსჯელობს. მენშევიზმის ხელოვნურათ აღმართული შოვინისტურ ნაციონალიზმის კედლები უკვე გაინგრა და ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკის პროლეტარიატი ერთმანეთის ძმური ენით ელაპარაკება. ეს დიდი დამსახურებაა საბჭოთა ხელისუფლების და ოქტომბრის რევოლიუციის.

ამ ყრილობას განსაკუთრებულ პირობებში უხდება შეკრება. ამიერ-კავკასიის პროფმოძრაობაში უკვე დასრულებულია ძალთა გადაჯგუფება ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიზან ამოცანების მიხედვით. 4 თვე და კიდევ უფრო მეტია რაც ახალ ნიადაგზე სწარმოებს მუშაობა.

და აი ყრილობის ერთი უმთავრესი დანიშნულებათაგანია ახალ ნიადაგზე გაწეულ მუშაობას გაუკეთოს ჯამი. ამ ყრილობაზე უნდა გამოირკვეს თუ რამდენათ განხორციელდა პროფმოძრაობის ახალი მიზან ამოცანები, თუ რა შედეგებს მივახწიეთ ამ მხრივ. წარმატება თუ დაბრკოლება ყველაფერი უნდა აღინიშნოს, რათა სამომავლო გამოცდილათ იქნეს გამოყენებული. საერთოდ გაწეულ მუშაობის ხშირ ხშირათ ჯამის გაკეთებას აქვს პროფმოძრაობის განვითარებისათვის უდიდესი და უღრმესი მნიშვნელობა. ასეთი ჯამის გაკეთება ერთის გამოცდილებას მეორეს გადასცემს და მით სამომავლოთ პროფმოძრაობის განვითარებას გზას გაუკაფავს.

დღესაც ჩვენ გაზეთში იბეჭდება ს. პ. კ. ს. მოწოდება ამ ყრილობის დელეგატთა არჩევნების ჩასატარებლათ. ყრილობამდი ძალიან მცირე დროა და მისთვის მზადებას აქედანვე უნდა შევუდგეთ. აქედანვე უნდა გავაჩაღოთ საარჩევნო კამპანია და ყრილობის დღიურ წესრიგში დასმული საკითხი ადგილობრივ უნდა დავამუშავოთ და მსჯელობის საგნათ გავხადოთ. ეს საჭიროა როგორც ყრილობის მუშაობის ნაყოფიერებისათვის, ისე პროფკავშირთა ფართო მასების ამა თუ იმ საკითხით დაინტერესებლათ და მით მისი პროფმოძრაობაში ჩასაბმელათ.

კ. ოდიშლავაძე.

მოსავალი რუსეთში

რუსეთის სახ. სასურსათო კომისარი **ამხ. ბრიუხანოვი** სასურსათო პერსპექტივებს ახალი მოსავლის გამო შემდეგნაირად ახასიათებს:

არაჩვეულებრივმა მოუსავლობამ, რომელიც სტიქიურად მოედო შარშან ვოლგის მხარეს, ყოფ. ნოვოროსიის სამხრეთ აღმოსავლეთს, ყირიმს და რომელიც გადავიდა აგრეთვე ურალის მხარეში და ციმბირის რაიონში, სავსებით გაანადგურა გლეხის მეურნეობა, საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი თავისი ძალღონე მოახმარა დამშეულთა გადარჩენას და განადგურებულ მეურნეობათა აღდგენას.

ეს უკანასკნელი ამოცანა ჯერ გადაწყვეტილი არ არის და არც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ერთის წლის განმავლობაში, მიუხედავათ იმისა, რომ დამშეულ რაიონებში შეტანილი იყო ათეული მილიონი ფუთი სათესლე ხორბალი. მაგრამ საქმის დასაწყისი კარგი იყო და ეს კარგი დასაწყისი ხომ ნახევარის საქმის გაკეთებაა. დღეს—საქმის მეორე ნახევარის მოსაგვარებლად, საბჭოთა ხელისუფლებას ეხმარება მოსავალი.

მოსავლის რაოდენობა დღეს უკვე შეიძლება ჩაითვალოს გამორკვეულად.

მხოლოდ ერთ სულ პატარა რაიონიდან,—ისიც ისეთ რაიონიდან, სადაც წარმოება ყველაზე ნაკლებ არის განვითარებული, მოდის ცნობები, რომ ანეული ნათესის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია.

თითქმის სხვა ყველა დანარჩენ რაიონებში მოსავალი კარგია, ძალიან კარგია, ზოგან საშუალოა. გაზაფხულის ნათესის ცუდ მოსავალზე არც ერთ კუთხიდან ცნობა არ მოსულა.

მიუხედავად იმისა, რომ ნათესების არე შარშანდელ დამშეულ რაიონებში, რომელნიც წინად მთელი რუსეთის მკვებავ მხარედ ითვლებოდა, შემცირდა შარშანდელის წინააღმდეგ 30 პროცენტით, საერთოდ მთელ რესპუბლიკაში პურის მოსავალი სულ მცირედ 35 პროცენტით მეტი იქნება შარშანდელზე, ე. ი. **2 მილიარდი 700 მილიონი ფუთზე მეტი** (1913 წელში იყო 4 მილიარდზე ცოტა მეტი).

მოსავლის ამ ციფრებიდან ნათელია პასუხის გაცემა სასურსათო პერსპექტივების საკითხზე.

თუ მთელ მოსავლიდან გამოვაკლებთ სათესლე მასალას, სასურსათო გადასახადს, რომელსაც დავსახავთ ასი პროც. მთელი რიგი რაიონებისა (ციმბირი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, შუაშავნიადაგიანი რაიონი) **უზრუნველყოფილი იქნებიან წმინდა მოსავლიდან არა ნაკლებ 20—21 ფუთით სულზე. არის ისეთი გუბერნიები და ოლქები, სადაც უზრუნველყოფილი იქნებიან 37 ფუთით სულზე.** დამშეულ ვოლგას მხარეში და ყირგიზეთის რესპუბლიკაშიც უზრუნველყოფილი იქნებიან მცხოვრებნი არა ნაკლებ 16 ფუთით სულზე. **ვოლგას მხარე გამოკვებავს თავის თავს საკუთარი მოსავლით** დამშეული გლეხი დაისვენებს. გაჭირვებული იქნებიან მცხოვრებნი მხოლოდ სხვადასხვა პატარა რაიონებში, სადაც დათესილ მიწების არე თვალსაჩინოდ შემცირდა.

პურის გადასახადი დაფარავს არმიის და სახელმწიფო მომარაგებაზე დარჩენილ იმ მნიშვნელოვან სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეების საჭიროებას, რომელნიც არ არიან გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე და ადგილობრივ ბიუჯეტზე.

პურის გადასახადის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, გარდა სარეზერვო ფონდის შექმნისა, გამოყენებული იქნება მეურნეობის აღდგენის და გაფართოვების პირდაპირი მიზნებისათვის.

გაიტანს თუ არა რუსეთი პურს საზღვარ გარეთ მიმდინარე წელს?

პურის თავისუფალი საქონლის ნაშთები ზოგიერთ რაიონებში იქნება, რაც უნდა ვიანგარიშოთ 150—200 მილიონ ფუთამდე. მისი გატანა საზღვარ გარეთ შესაძლებელი იქნება მაგრამ, უმჯობესი იქნება, თუ რომ ამ ნაშთის, მთლიანად თუ არა, უდიდესი ნაწილი მაინც დარჩება რესპუბლიკის შიგნივ ყოველ შემთხვევისათვის, **„შავი დღისათვის“**.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა“)

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა

რუსეთი და იაპონია.

მოსკოვი. 29 ივლისი (რადიო). ხარბინში მყოფმა იაპონიის საელჩომ მიმართა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკას ნოტით, სადაც ის იაპონიის მთავრობის სახელით აცხადებს, რომ უკანასკნელი მზადაა განაახლოს მოლაპარაკება შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან.

იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა ზღვის სანაპირო ოლქიდან მოახდინოს თავისი ჯარების სრული ევაკუაცია არა უგვიანეს 1 ნოემბრისა. იაპონიის მთავრობა თანხმაა, რომ საბჭოთა რუსეთმა მიიღოს მონაწილეობა მომავალ კონფერენციაში. კონფერენციის მოწვევის ადგილად იაპონიას სურს ხარბინი ან დაირენი.

საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა სახალ. კომისარმა, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრთან ერთად უპასუხა იაპონიას, რომ იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილების გამო, ჯარების ევაკუაციის შესახებ, საბჭოთა რუსეთი და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა თანახმანი არიან გამართონ მოლაპარაკება მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობის დასამყარებლად. ფიქრობენ, რომ, მომავალ კონფერენციაზე წარმომადგენელნი იქნებიან თანასწორი უფლებებით, რუსეთი, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა და იაპონია. მოლაპარაკების ადგილად ირჩევენ ჩიტას ან მოსკოვს. თუ რომ იაპონიის მთავრობას რაიმე ექნება ამის საწინააღმდეგო, რუსეთი და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა თანახმა იქნებიან პეკინზე და ტოკიოზე რუსეთის დელეგატად დანიშნულია ამხ იოფფე და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი იანსონი.

გერმანიის ამბები

ბავარიის კონფლიქტი.

ნაუენი. 28 ივლისი (რადიო) გერმანიის კაბინეტმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც მოყვანილია ანგარიშები ბავარიასთან ურთიერთობის შესახებ და გამორკვეულია ის მიზეზები, რომელმაც კონფლიქტი წარმოშვა. კაბინეტმა გადასწყვიტა მიუთითოს ბავარიას, სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, შექმნილ მდგომარეობის ლიკვიდაციის აუცილებლობაზე. დაიწყო მოლაპარაკება ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ფიქრობენ, რომ შეთანხმება ახლო მომავალში მოხდება.

მკაცრი ზომები.

რომი. 29 ივლისი (რადიო). გერმანიის მთავრობამ, რომელიც საგონებელში ჩავარდა ბავარიის მიერ რესპუბლიკის თავდაცვის კანონის მიღებაზე უარის თქმით, დაადგინა მიიღოს სასტიკი ზომები სახელმწიფოს დაარსების დასაცავად.

ბავარიის კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადება.

რომი. 28 ივლისი (რადიო). ბავარიის პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა ბავარიის კაბინეტს.

მოკავშირეები უარს ამბობენ გადასახადების ვადის გაგრძელებაზე.

ბორდო. 28 ივლისი (რადიო) საკავშირო ანგარიშების საქმეთა კომისიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ შეუძლებელია შეუმცირდეს გერმანიას ყოველთვიური გადასახადი ისე, როგორც ამას თვით გერმანია მოითხოვს. ამ რიგად გერმანიამ მომავალშიაც უნდა გადაიხადოს ყოველთვიურად 2 მილ. გირ. სტერლ.

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებს

ცირკულიარულად

ძვირფასო ამხანაგებო!

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის საკავშირო საბჭომ დაადგინა შემოიღოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე ერთიანი ფულის ნიშანი.

ეს დადგენილება გამოწვეულია, როგორც მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის, ისე თვითეულ მასში შემავალ რესპუბლიკის მეურნეობის განმტკიცების ინტერესით.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერესები კატეგორიულად გვიკარნახებენ ერთიანი ფულის ნიშნის შემოღების დაჩქარებას.

ამის გამო რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის რაიკომი წინადადებას იძლევა ამ უახლოეს ხანაში ჩატარებულ იქნეს კამპანია, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში ერთიან ფულის ნიშნანის შემოღების შესახებ; ხელმძღვანელობს რა შემდეგი დებულებებით:

1. საკავშირო ხელ შეკრულებით ნაგულისხმევია გაერთიანება სამივ რესპუბლიკაში სამხედრო საქმისა, ფინანსებისა, საგარეო პოლიტიკისა, საგარეო ვაჭრობისა, გზებისა, კავშირისა, შრომისა, კონტრრევოლიუციასთან ბრძოლისა და ეკონომიური პოლიტიკისა.

ამ რიგათ, ერთიანი ფულის ნიშანის შემოღება არის განსახიერება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მშრომლების ნებისყოფისა, რაიც გამოიხატა ამიერ-კავკასიის სრულუფლებიან კონფერენციაზე.

2. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები მჭიდროთ არიან ურთიერთთან შეკავშირებულნი ეკონომიურად. მათ განკარგულებაშია მრავალი სხვადასხვა სიმდიდრე და ყველა ისინი საჭიროებენ საქონლის ინტენსიურ გაცვლა-გამოცვლას; მათი მეურნეობა, საკავშირო ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგენს ერთ მთლიან ერთეულს. ამგვარი მდგომარეობის აუცილებელი შედეგია ერთიანი ფულის ნიშანი. ასეთი დასკვნა, თეორეტიულად და ლოღიკურად, უნდა იყვეს ყოველგვარ ეჭვების გარეშე.

3. ამიერ-კავკასიაში, უცხოელთა საქონლის შემოზიდვა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ბაზარის საშუალებით. მაშასადამე ამ ბაზარს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის. ამავე დროს კი, არსებულ პირობებში, საქართველოს ბაზარი დაკავშირებულია ქართული ქაღალდის სავალიუტო სისტემით, რაც ქმნის სხვა რესპუბლიკებისათვის (აზერბეიჯანისა და სომხეთისათვის) უდიდეს დაბრკოლებებს. ამის გადალახვა შესაძლებელია ერთიანი ფულის ნიშანის შემოღებით.

4. მხოლოდ სწორად დაყენებულ და ერთიანი ფულის ტრიალის პირობებში არის შესაძლებელი ერთიანი სამეურნეო გეგმა და ერთიანი ეკონომიური პოლიტიკა. ამრიგად სხვა და სხვა ფულის ნიშნების არსებობა აბრკოლებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მასში შემავალ ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო აღორძინებას.

შეუძლებელია გაერთიანებული გამოსვლა საგარეო ბაზარზე, თუ არ არსებობს ერთიანი ფულის სისტემა, ე. ი. შეუძლებელი გახდება ერთიანი სამეურნეო პოლიტიკის შექმნა.

5. ფულის ნიშნების სხვადასხვაობის დროს ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ საქონლის ფასების შეთანაბრება საქართველოსი, სომხეთის და აზერბეიჯანისა, რადგანაც ძალიან საგრძნობი არის თვითეულ ამ რესპუბლიკათა ფულის ნიშნების ცვალებადობა. საბირჟო თამაში, რომელსაც ასაზრდოებს ამ სხვადასხვა ფულის ნიშნების არსებობა, დამღუპველ გავლენას ახდენს სავაჭრო ცხოვრებაზე და ქმნის მას აჟიოტაჟურათ, არანორმალურად. კოოპერატიული ორგანიზაციები დიდ გაჭირვებას განიცდიან ნორმალური სავაჭრო მუშაობის არ არსებობის წყალობით.

6 სხვადასხვა ფულის ნიშნების არსებობას არევდარევა შეაქვს სატარიფო პოლიტიკაში.

იგი ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ტრანსპორტის მუშაობის მსვლელობაზე და იძულებულს ხდის გზათა სამმართველოს შემოიღოს ანგარიშების გასწორების სისტემა თვითეულ რესპუბლიკაში მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ფულის ნიშნებით. ამას შედეგი ის არის, რომ აუცილებელი ხდება ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადაზიდვის დროს გატარებულ იქნეს გადახდის სისტემა მხოლოდ გაგზავნის სადგურიდან, რაც ძალიან უხერხულია საქონლის მეპატრონეთათვის და გარდა ამისა თვით გადაზიდვის რიცხვობრივ რაოდენობასაც ამცირებს.

7. ერთიანი ფულის ნიშანი საგრძნობლად გაამარტივებს რკინის გზის სამართველოს შინაურ მუშაობას, ლიკვიდაციას უზამს იმ მძიმე და უნაყოფო შრომას, რაც დღეს იხარჯება გადაზიდვის ანგარიშების გასწორებასა და შედგენაში. სხვა და სხვა ფულის ნიშნების არსებობით, რკინის გზის მუშაობა სამივ რესპუბლიკაში, სადაც ფულის კურსი თითქმის თვეში ორჯელ იცვლება, საშინლად ფერხდება. ერთიანი ფულის ნიშანი არის ერთად ერთი გამოსავალი კურსის არევდარევიდან და გაუგებრობიდან, რაც ძალიან მძიმე პირობებში აგდებს რკინის გზებს. სანამ იარსებებენ ეს სხვა და სხვა ფულის ნიშნები, რკინის გზის კლიენტების საჩივარსა და აღშფოთებას საზღვარი არ ექნება.

8. სხვა და სხვა ფულის ნიშანის არსებობა მრავალ დაბრკოლებას უსახავს ჩვენ ნავთის მრეწველობასაც, რომელიც უმთავრესად სცხოვრობს ბაქოს ბაზრით. იგი დაკავშირებულია ყველა რესპუბლიკასთან, საიდანაც მიდიან სხვა და სხვა ფულის ნიშნები, რომელნიც თავისი მრავალ ფეროვანებით აფერხებენ მის მუშაობას.

9. ერთიანი ფული ნიშანის დაწესება მისცემს წონასწორობას მანეთის კურსს, რადგანაც ამით ერთის მხრივ ისპობა კონკურენცია ამ ნიადაგზე ხსენებულ რესპუბლიკათა შორის და მეორეს მხრივ ჩვენი ერთიანი მანეთს საგარეო ვაჭრობის პროცესში, ექნება მეტი ღირებულება, როგორც ნიშანს მძლავრი ეკონომიური გაერთიანებისას, რაც ბოლოს და ბოლოს გამოიწვევს ცხოვრების გაიაფებას მთელი საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაზე.

10. ერთიანი ფულის ნიშანი იქნება ახალი შემაკავშირებელი ძალა ახალგაზრდა საკავშირო ფედერაციისათვის. იგი შექმნის აუცილებელ ფსიხოლოგიურ განწყობილებას ამიერ-კავკასიის გაერთიანების უფრო მჭიდროთ განმტკიცებისათვის. გარეშე ერთიანი ფულის სისტემისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანება დარჩება მხოლოდ გაერთიანებათ ქაღალდის ფურცლებზე. ერთიანი ფულის ნიშანი ართმევს ხელიდან ფედერაციის მტრებს პროვოკაციის იარაღს, მათ ერთმევათ შესაძლებლობა სთესონ ამ რესპუბლიკათა შორის შუღლი და მტრობა სხვა და სხვა ფულის ნიშანის არსებობის ნიადაგზე.

11. სხვა და სხვა ფულის ნიშანის არსებობა აფერხებს მიმოსვლას ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე. ეს განსაკუთრებულად საგრძნობია მშრომელთათვის მაშინ, როდესაც სპეკულიაციური ელემენტები ამით იგებენ ფულის ნიშნების გადახურდავების დროს.

12. მსოფლიო მასშტაბით სხვა და სხვა ფულის ნიშნების არსებობა აიხსნება კაპიტალისტური მეურნეობის მთელი სისტემით; იგი აუცილებელი დამატებაა კაპიტალისტური წესწყობილებისა. ფულის კურსის განსხვავებაში ძალიან იგებენ უფრო მდიდარი ქვეყნების კაპიტალისტები.

13. მშრომელი ხალხი სრულებით არ არის დაინტერესებული ქაღალდის ამგვარ თამაშში მან უნდა შეიძლოს, ყოველ შემთხვევაში თავის სოციალისტურ სამშობლოში მაინც, დახუროს ეს სპეკულიანტური დუქანი ერთიანი ფულის ნიშნის შემოღებით.

14. ერთიანი ფულის ნიშნის შემოღების პირველ ხანებში, რასაკვირველია, შესაძლებელია ზოგიერთი უხერხულებანი და გაუგებრობანი: მცხოვრებლებმა, შესაძლებელია მას სკეპტიკურათ შეხედონ; სპეკულიანტები ამით ისარგებლებენ. შესაძლებელია პირველ ხანებში ფასების აწევაც კი. მაგრამ ყოველივე ეს იქნება მცირე ხნით და დროებით. ძალიან ჩქარა ერთიანი მანეთის კურსი განმტკიცდება და ეს რეფორმა გააუმჯობესებს არა მარტო საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და ფულის ტრიალის ტეხნიკას, არამედ ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობასაც და მაშასადამე გააიაფებს ცხოვრებას.

რუსეთის კომ-პარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

ბრძოლა სიმშილობასთან

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

დიდი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ დიდი ლატარიის მომწყობ კომისიის პრეზიდიუმის წევრად არჩეულნი არიან: მოქ. ის. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარედ), ეპ. ელშიბია და პ. გოთუა. გამგე-დირექტორად მოწვეულია სოლ. ახვლედიანი, რომელიც უკვე შეუდგა თვის მოვალეობის ასრულებას.

ლატარიის ტეხნიკურ მხარეს განაგებს სახალხო საფინანსო კომისარიატი თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ.

გამოცემულ იქნება სულ ასოცი ათასი ლატარიის ბილეთი, თორმეტი მილიარდი მანეთის ღირებულებისა, სამას სერიად. პირველი მოგება: ნახევარ მილიარდი. სულ არის 535 მომგებიანი ბილეთი.

მსურველნი ფულის მაგივრად მიიღებენ მოგების რაოდენობის ძვირფას ნივთეულებას.

ლატარია გათამაშებულ იქნება თბილისში ამა წლის დეკემბრის 10 ს საქართველოს უმაღლეს მთავრობის, დამშეულთა მთავარ კომიტეტის, აღმასრულებელ კომიტეტისა, სახელმწიფო ბანკების, პრესის, ლატარიის მომწყობ კომისიის და ფართე საზოგადოების თანადასწრებით. მოგების ნუსხა გამოცხადებულ იქნება გაზეთებში და ხვედრ მოგებას მიიღებენ 48 საათის განმავლობაში.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის დადგენილებით დღეიდან ყველა კლუბებსა და კაფეებში ლოტოდან მოგებულ ფულის 10 პროც. მიეცემა მომგებთ ლატარიის ბილეთები, ხოლო, ვინაიდან ჯერ ბილეთების ბეჭვდა დასრულებული არ არის, მომგებთ მიეცემათ დროებითი ბილეთები.

ლატარიის ბინა მოთავსებულია კოოპერატიულ (ბანკში ლორის მელიქოვის ქ.) ტელეფ. № 2—09.

ესერების პროცესი

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის წევრის მუნას სიტყვა.

მოსკოვი. 29 ივლის (რადიო). 28 ივლისის საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის სახელით ამხ. მუნამ. მუნამ განაცხადა, რომ ესერების აქტიური დახმარების გარეშე საერთოდ, და კერძოთ ჩეხო-სლოვაკიის კონტრ რევოლიუციის დაუხმარებლათ სამოქალაქო ომს რუსეთში შემდგომ არ უნდა მიეღო ასეთი საოცარი სახე. მუნას, როგორც ჩეხო-სლოვაკელ კომუნისტს, თავის მოვალეობათ მიაჩნია ფარდა ახადოს ჩეხო-სლოვაკიის კონტრ-რევოლიუციას, რომელმაც ამოდენი ჭრილობა მიაყენა რუსეთის რევოლიუციას. მუნა ააშკარავებს ჩეხო-სლოვაკიის აჯანყების ნამდვილ სახეს და ანტანტისა და კონტრ-რევოლიუციონერების როლს ჩეხო-სლოვაკების აჯანყებაში, რომელიც მხოლოდ იმალებოდა დემოკრატიზმის დროშის ქვეშ.

მოყავს რა ციტატები კრატოხფილისა და კრირუას წიგნებიდან, მუნა ამტკიცებს, რომ ესერები მონაწილეობას ღებულობდენ ჩეხო-სლოვაკების ჯარში. თავის სიტყვის დასასრულში მუნა ამბობს: „ესერების პარტიის დანაშაული აშკარაა. მე აქ არ შევეხები კანონონის მუხლებს, ვინაიდან რუსეთის მუშათა კლასმა და ევროპის პროლეტარიატმა უკვე გამოიტანეს თავის განაჩენი და არ მოუცადეს რევ-ტრიბუნალის განაჩენს. რევოლიუციონურ პროლეტარიატის განაჩენი აღნიშნავს სრულ პოლიტიკურ სიკვდილს ესერების პარტიისას. როგორიც არ უნდა იყოს განაჩენი რევოლიუციონური ტრიბუნალისა, იგი არ შეიძლება იმაზე მკაცრი იყოს, როგორიც იყო საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის განაჩენი. ესერების პარტია თავისი მოქმედებით სთხრის თავისთვის დიდ საფლავს. საერთაშორისო პროლეტარიატი თავის განაჩენით ამ საფლავში აწვენს ხსენებულ პარტიას. რევოლიუციონური ტრიბუნალს არ დარჩენია მეტი არაფერი გარდა იმისა, რომ გახდება საფლავის ქვათ ამ კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის ნეშთისა.

იტალიის კომპარტიის წევრის ბოკანის სიტყვა.

პატარას, მაგრამ ცხარე და ძლიერ სიტყვას ამბობს იტალიის კომპარტიის წარმომადგენელი ბოკანი. ბოკანი უკეთებს რა ანალიზს ესერების პარტიის მთელი მოღვაწეობას, ამტკიცებს, რომ ესერებს არ მისდევდენ არც გლეხები და არც მუშები, ესერები თავის მუშაობით ეწინააღმდეგებოდენ რუსეთის მუშებსა და გლეხებს. იმ განგაშის შესახებ, რომელიც ესერების დასაცავად ასტეხა საერთაშორისო ბურჟუაზიამ და კერძოთ ვანდერველდესა და კომპანიის ჩამოსვლის შესახებ,—ბოკანი ამბობს, რომ როდესაც ბუდაპეშტში მეორე გვარი სასამართლო, ბურჟუაზიული და კონტრ-რევოლიუციონური არჩევდა არა ამგვარი რევოლიუციონერების, რომელნიც აქ სხედან ბრალდებულების სკამზე, არამედ ნამდვილ რევოლიუციონერების საქმეს, ვანდერველდემ არ ჩასთვალა საჭიროთ ჩამოსულიყო ბუდაპეშტში მათ დასაცავად. ამავ დროს კი ბუდაპეშტის სასამართლოსა და რევტრიბუნალის შორის განსხვავება დიდია. იქ ყურადღებას არ აქცევდენ ბრალდებულების უფლებებს და როგორც თვით სურდათ, ისე გამოჰქონდათ სიკვდილით დასჯის განაჩენები. უზენაეს ტრიბუნალს შეუძლია იამაყოს თავისი მიუდგომლობითა და ობიექტივობით. აქ მოცემულია ყოველგვარი შესაძლებლობა დაცვისა ბუდაპეშტში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოჰქონდათ 10 წამის განმავლობაში. დაე უზენაესმა ტრიბუნალმა, დაათავა თავისი სიტყვა ბოკანიმ, გაასამართლოს ესერების პარტია ისე, როგორც ის ამას საჭიროდ დაინახავს პროლეტარიატის ინტერესებისათვის.

კლარა ცეტკინას სიტყვა.

ბოკანის შემდეგ გამოდის კლარა ცეტკინა. „ესერების პარტია, ამბობს იგი, იყო ყოველთვის ოპორტიონისტული და კონტრ-რევოლიუციონური. პროცესზე სწარმოებს არა პარტიის ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, არამედ კონტრ რევოლიუციის — რევოლიუციის წინააღმდეგ. იბრძვის ორი კლასი—ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ესერები მუდამ იყვნენ ბურჟუაზიის მხარეზე. ესერების პარტია მუდამ ხელს უშლიდა რევოლიუციის საქმიანობას და აბრკოლებდა მის განვითარებას. ეს კი ისეთი ბოროტ-მოქმედებაა, რომელიც არ შეედრება კაცის მოკვლას არა ერთისას ან ასეული ათასისას, არამედ მილიონებისაც კი. როდესაც ესერები ხელისუფლების სათავეში იდგნენ, ისინი თავის საგარეო პოლიტიკაში სავსებით დამოკიდებულნი იყვენ საერთაშორისო ბურჟუაზიაზე, ხოლო თავის შინაურ პოლიტიკაში კი,—რუსეთის ბურჟუაზიაზე. ესერები, თავიანთი მმართველობის დროს ცეცხლითა და მახვილით აქრობდენ ყველა ანტი-ბურჟუაზიულ და ანტი-მემამულეთა მოძრაობასაც კი. ესერები უწოდებდენ რა თავისთავს გლეხურ პარტიას, შეიარაღებული ძალით აქრობდენ გლეხობის მოძრაობას მემამულეთა წინააღმდეგ ბინების ჩამორთმევისათვის.

მაგრამ ესერების ყველაზე უფრო დიდი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ შეაჩერეს საერთაშორისო ომი. დღეს ესერების მეგობრები არიან ბურჟუაზიული პრესა და 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები. ამ ჯგუფების ცოცხალი მოწმე გახლდათ აქ მოსული ვანდერველდე. ვანდერველდე და სხვები აქ ლაპარაკობდენ ადამიანის სიცოცხლის ღირებულებაზე. ხოლო თვით ვანდერველდე კი იყო მთავარი მოსამართლე იმ პროცესებში, როდესაც ბელგიის ბურჟუაზია ასამართლებდა ფლამანდიელ ანარქისტებს. 1500 კაცს ამ მოსამართლეებმა მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება. ზოგიერთებს კი სიკვდილით დასჯა არც მაკდონალდსა დ არც სხვებს არ უფიქრიათ დაცვის მოწყობა მაშინ, როდესაც ხდებოდა კომუნისტების გასამართლება, არსად მათ არ განუცხადებიათ პროტესტი და მხოლოდ ეხლა სცვნეს მათ საჭიროთ ესერების დაცვა. ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის დამხობის შემდეგ, ბავარიის პროლეტარები სავსებით ხელში ჩაუგდეს თავიანთ კლასიურ მტრებს. მათთვის არ წარუდგენიათ არავითარი წერილობითი აქტები და სასამართლოს არ მოუსმენია მათი განმარტებანი. და ეს იყო იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო სოციალ-დემოკრატი ებერტი. გერმანიაში 6.000 პროლეტარამდის დასაჯა მხოლოდ დ მხოლოდ სასამართლომ. როდესაც 125 კომუნისტმა სიმშილობა გამოაცხადა, და როდესაც ირჩეოდა დასნეულებულ პატიმართა განთავისუფლების საკითხი, მაშინ ესერები ბურჟუაზიასთან ერთად ილაშქრებდენ და ხმას აძლევდენ ამის წინააღმდეგ.

რაც უფრო ძნელია რუსეთში მუშაობა ახალი სახელმწიფოებრივობის შესაქმნელად, ახალი ეკონომიკისა და კულტურის მოსაწყობად, მით უფრო მეტი სიფრთხილით უნდა დაიცვას საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი მუშაობა—ყოველგვარ მტრულად განწყობილ ძალებისაგან. მესამე ინტერნაციონალის სახელით, მე გამოვსთქვამ რწმენას იმისას, რომ სასამართლო შეძლებს დაიცვას მსოფლიო რევოლიუციის ავან-პოსტი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა და ამისათვის იგი გემოძებნის სათანადო საშუალებებს.

წითელ რესპუბლიკებში

მუშათა ფაკულტეტები.

მოსკოვი. 26 ივლისი (რადიო). სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების პლენუმში მოსმენილ იქნა პროფ განათლების მთავარ განყოფილების მუშათა ფაკულტეტების ქვეგანყოფილების გამგის მოხსენება მუშათა ფაკულტეტების გაწმენდის და მუშა ფაკულტეტების სახელმწიფო უზრუნველყოფის პროექტის შესახებ. წმენდის დაწყებამდე მუშათა ფაკულტეტებზე ითვლებოდა 32,000 კაცი. მუშ. ფაკულტეტის ბინების შესაკეთებლად სახალხო კომისართა საბჭომ გასცა 240 მილიარდი მ. მათთვის სათბობების დასამზადებლად 65 მილიარ. გუბ. ფაკულტ. მსმენლებს ეძლევათ ულუფა და რამოდენიმედ ტანთსაცმელი. შრომის ხელფასი განისაზღვრება მე-6-ე კატეგორიით. მუშათა ფაკულტეტზე შესულ მსმენელებს უგრძელდებათ ვადა სამხედრო სამსახურისის.

მოხსენების მოსმენის შემდეგ პლენუმმა დაადგინა წინადადება მისცეს მუშ. ფაკულტეტების პლენუმს მიიღოს ზომები ჩამოსულ მსმენელებისათვის საერთო საცხოვრებელ ბინის უზრუნველსაყოფად და დაადგინა წინადადება მისცეს ყველა ც. კ.-ს დააარსონ სპეციალური ფონდი მუშ. ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დასახმარებლად.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ლოიდ-გრიმმის განცხადება.

ნაუენი. 28 ივლისი (რადიო). ჰააგის კონფერენციიდან დაბრუნებულმა ლოიდ გრიმმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ამ უკანასკნელ დღეებში რუსეთის საკითხი თვალსაჩინოდ გაიზარდა. საბჭოთა მთავრობამ უნდა გადადგას უკანასკნელი ნაბიჯები.

პოლონეთი.

უნდობლობა პილსუდსკისადმი.

რომი. 28 ივლისი (რადიო). პოლონეთის მემარჯვენე პარტიებმა წინადადება შეიტანეს სეიმში პილსუდსკისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ, ვინაიდან მან უარი განაცხადა კორფანტის კაბინეტის ცნობაზე.

ნდობა პილსუდსკისადმი.

ნაუენი. 28 ივლისი (რადიო). სეიმმა 250 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 184-სა უარჰყო მემარჯვენე პარტიების წინადადება, პილსუდსკისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ამ დროს მთელმა სეიმმა, მათ შორის „სოციალისტური“ პარტიების წარმომადგენლებმაც ადგენ და იმღერეს პატრიოტული ჰიმნი.

კორფანტის „მოღვაწეობა“.

ნაუენი. 28 ივლისი (რადიო). პოლონეთის სამხედრო მინისტრმა სოსიკოვსკიმ იცნო კორფანტის მოღვაწეობა ზემო-სილეზიაში და გადასცა მას უმაღლესი ხარისხის ჯილდო— „სასახელო მედალი“.

მოსავალი პოლონეთში.

ბორდო. 28 ივლისი (რადიო). პოლონეთის მიწათმოქმედების მინისტრმა რაიზინსკიმ განაცხადა, რომ წრევანდელი მოსავალი საკმაო იქნება პოლონეთის მომავალ მოსავლიანო ზამდე გამოსაკვებად.

სამხრეთ-სლავია.

ურთიერთობა იტალიასთან.

რომი. 28 ივლისი (რადიო). სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა სკუპშჩინაში, რომელიც შეეხებოდა საგარეო პოლიტიკას. მან განაცხადა, რომ მოლაპარაკებას იტალიასთან საფუძვლად უდებს მეგობრულ ურთიერთობის დამყარება, იმ ტერიტორიის ევაკუაციის შემდეგ, რომელიც გადაეცემა სამხრეთ-სლავიას.

ხელშეკრულების რატიფიკაცია.

რომი. 28 ივლისი (რადიო). იტალიის მთავრობამ აცნობა სამხრეთ სლავიას, რომ რაპალოში დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდება მაშინვე, როგორც კი დამთავრდება სამინისტროს კრიზისი.

საბერძნეთი.

ოცნება სტამბოლზე.

ბორდო. 28 ივლისი (რადიო). ათინიდან მიღებულ ცნობებით, არის საბუთი ვიფიქროთ, რომ საბერძნეთის მთავრობა კვლავ ოცნებობს დაიწყოს სტამბოლზე შეტევა.

სამინისტროს კრიზისის გამო.

რომი. 28 ივლისი (რადიო). მედა მიწვეული იყო მეფის სასახლეში კაბინეტის მოწყობის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად. მან უარი განაცხადა მიცემულ წინადადებაზე, შემდეგ სასახლეში მიწვეულ იქნა დენავა.

აუცილებელია რუსეთის ცნობა.

რომი. 28 ივლისი (რადიო). **ინგლისის თემთა პალატაში განიხილეს მოხსენება ჰააგის კონფერენციის შესახებ. ორატორი (დამახინჯებულია) .. აკრიტიკებდა კონფერენციის სისტემას და მიუთითებდა რუსეთის მთავრობის ცნობის აუცილებლობაზე. ლოიდ ჯორჯმა, უპასუხა რა ორატორს, აღნიშნა ევროპის მდგომარეობის გაუმჯობესება კონფერენციის გამო. მისი განცხადებით საბოლოვო გამარჯვება თვით რუსეთზეა დამოკიდებული.**

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბინის და კვების სანიტარია. ამ უკანასკნელ დროს გამოცოცხლდა ჯანმრთელობის დაცვის სახ. კომისარიატის ბინის და კვების ქვეგანყოფილების მუშაობა, რომელიც სწარმოებს რესპუბლიკის ბინების და კვების სანიტარიის შესასწავლად. ქვეგანყოფილების მიერ წარმოდგენილ მოხსენებათა რიგი დამტკიცებულ იქნა ჯანმრთელობის დაცვის სახ. კომისარიატის მიერ და ამ მოხსენებებში წამოყენებული დებულებები ტარდება ცხოვრებაში. ამ ჟამად სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა ქალაქის და იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც სწარმოებს საკვებ პროდუქტების დამზადება.

საიზოლიაციო—სადეზინფენქციო მატარებელი № 2 შესდგება 12 ვაგონისაგან, 2 ცისტერნის და 2 ღია ვაგონისაგან ორთქლმავალიითურთ, და ასრულებს სრულიად წარმატებით მაზე დაკისრებულ ფუნქციებს. ჭუჭყიანი საცვლები იგზავნება სადეზინფექციო კამერაში, სადაც მას ასუფთავებენ და შემდეგ გადასცემენ ხოლმე სამრეცხაო ვაგონში. მატარებელი სინათლეს ღებულობს საკუთარი ელექტრონის სადგურიდან, მოწყობილია ცენტრალურ ორთქლის გათბობით, დამწოლ წყალსადენით, რომელიც წყალს აწვდის ცისტერნებიდან ვანებს. ცისტერნების წყლით მომარაგება შეიძლება ან სადგურის ჰიდრავლიურ კალონებით ან და მოძრავი ელექტრონის საქაჩით, იმ შემთხვევაში, თუ წყალი ახლოს არის იმ ადგილთან, სადაც მატარებელი ჩერდება. მთელი საქმოსო მოწყობილობა მატარებლისა მოძრაობს ელექტრომოტორებით, რომელიც ღებულობს ენერგიას თავისივე სადგურიდან. ამ ჟამად მატარებელი იმყოფება ბათომში, სადაც მან სანიტარული დეზინფექცია უყო უკვე 5.000 ლტოლვილს.

საექიმო სასანიტარო საქმე. ჯანმრთელობის დაცვის სახ. კომისარიატის სანიტარულ-საეპიდემიო განყოფილების ცნობებით რესპუბლიკაში არის: 60 საავადმყოფო 3.442 ლოგინით 30—ამბულატორია, კბილის ამბულატორია 46, ლაბორატორია 8, სადეზინფექციო კამერა 4. აფთიაქი 181, სამკურნალო პუნქტი—128 და საფერშლო პუნქტი—73.

ახალციხის მაზრა

ხე-ტყის მასალების გადმოგზავნა. სამაზრო აღმასკომის მიერ დამზადებული შეშა და საშენი მასალები გაგვინის ტყის აგარაკში, გადმოგზავნილია მდინარის საშუალებით. დიდმა წვიმებმა, რომელიც მოვიდა ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში ხელი შეუწყო ხეტყის-მასალების ჩქარა გადმოგზავნას მდინარე გაგვისა და კობლიანკის საშუალებით. ივლისის დასასრულს განზრახულია გადმოგზავნის ოპერაციის დამთავრება. ქორთუხების და შეშის გამოზიდვა განზრახულია მოხდეს ხარიხების საშუალებით, რომელიც მოაწყო ეკონომიურმა განყოფილებამ სახერხავ ქარხნებთან და რომელიც მუშაობს უკვე 23 ივლისიდან.

აბასთუმანი.

დამოკიდებულება ბორჯომთან. დამოკიდებულება ბორჯომთან თანდათან ნორმალურ ხასიათს ღებულობს. ცენტრალურმა სატრანსპორტო განყოფილებამ გამოგზავნა საუცხოვო ავტობუსი რბილ საჯდომებით და კარგი სვლით, რომელიც ყოველ დღიურად დადის ბორჯომსა და აბასთუმანის შუა. ავტობუსი განსაკუთრებით ხელსაყრელია ავადმყოფთათვის, რომელთაც დიდი დაბრკოლებით უხდებოდათ საბარგო ავტომობილებით მოგზაურობა.

საკურორტო ცხოვრება.

აბასთუმანში ცხოვრება თანდათან ნორმალურ ხასიათს ღებულობს. პროდუქტებზე ფასები საკმაოდ დაწეულია, რასაც ხელს უწყობს მუშათა კოოპერატივის განყოფილების გახსნა თითრი პური: 10 ათასი მან., ქათამი 25-30 ათას. მ., კარაქი—40-50 ათასი მ., კვერცხი— 3 ათასი მ., ბოთლი რძე—8 10 ათასი მან.

გორის მაზრა.

დათესილ მიწების რაოდენობა. გორის სამაზრო სტატისტ. ბიურომ შეადგინა ცნობები წლების მიხედვით 1917 წლიდან 1922 მდე მაზრაში დათესილ მიწების რაოდენობის შესახებ.

დესიატინების მიხედვით ეს ცნობები გამოიხატება შემდეგ ციფრებში.

ხორბალი ქერი და სიმინდი:

1917 წელს 38.772, 1918 წელს 46.526

1919 წ. 55,366, 1920 წ. 66.644.

1921 წელს 77.649 და მწვანეულობა 2.249.

1922 წელს 52.414 და მწვანეულობი 3,537.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1921 და 1922 წლებში გორის მაზრაში არ შედის სამხრეთ რუსეთის ფარგლებში გადასული თემები, შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ მიმდინარე წელს მაზრაში დათესილია მეტი ვიდრე შარშან სათესი მიწების მოედნის გადიდება წელს აიხსნება იმ დახმარებით, რომელიც მთავრობამ გაუწია გლეხკაცობას სათესი მასალის დარიგებით და დამშეულთა დეხმარებით 1921—1922 წლებში.

აფხაზეთი

სოხუმის ნავთსადგურში. 12 ივლისს ტუაპსედან მოვიდა ოსმალეთის ფლაგით მოტორ-იალქნიანი გემი „ლაზისტანი“ უტვირთოთ—2 მგზავრით. 13 ივლისს გავიდა ბათუმში მოტორ იალქნიანი გემი „არგო“ 108 ფუთი ტვირთით. 13 ივლისს გავიდა ტრაპიზონისაკენ მოტორიან-იალქნიანი გემი „ჯიოვან ბაგრი“, ბათუმში ნიჩბიანი ფილიუგა „ვენერა“ და მატორიან-იალქნიანი გემი „მარია“ 60 ფუთი ტვირთით და 8 მგზავრით.

სომხეთი

ნახიჩევანის მხარე.

სასურსათო გადასახადი და მოსავალი. ნახიჩევანის მხარეში სასურსათო გადასახადის სახით მოელიან 123 ათას ფუთ ხორბალს. სასოფლო-მეურნეობის დანარჩენი პროდუქტები მცირეოდენი იქნება. მოსავალი საშუალოა. მთელ მხარეში მაღლობ ადგილებზე გაზაფხულის ნათესები მეტად დაზარალდა გვალვების გამო. ხოლო ორდუბატის უბანში, გვალვის გარდა ნათესები განადგურებულია ზანგეზურიდან გავრცელებულ კალიის მიერ. ამ მაზრაში ბევრია სოფლები რომლებიც განთავისუფლებულ უნდა იქნეს სასურსათო გადასახადისაგან. ორდუბატის მაზრიდან კალია გადავიდა ნახიჩევანის მაზრაში. დაბლობ ადგილებში დაიწყო სასურსათო გადასახადის რეალიზაცია. მცხოვრებთა განწყობილება კარგია.

ერევანი.

ერევნის უნივერსიტეტში. ერევნის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე სასოფლო-სამეურნეო ტეხნოლოგიურ, საბჭოთა აღმშენებლობის, აღმოსავლეთ ენების და მედიკურ ფაკულტეტებზე მიღება დაიწყება პირველ სექტემბრიდან. თვითეულ სამაზრო სახ. განათლების განყოფილებას აქვს უფლება გამოგზავნოს ორ-ორი სტიპენდიანტი, რომელთაც უნივერსიტეტი ყოველ თვიურად მისცემს 20 მანეთს (ოქროთი). იმ მაზრებმა, რომელთაც სურთ გაგზავნონ ორზე მეტი სტიპენდიანტი, თვით უნდა იზრუნონ სტუდენტების მატერიალურ საჭიროებებზე. იმ პირთ, რომელთაც სურთ ტეხნოლოგიურ და სასოფლო მეურნეობის ფაკულტეტებზე შესვლა, უნდა ჩააბარონ წინასწარი გამოცდა მათემატიკურ საგნებში. მეცადინეობა ყველა ფაკულტეტზე დაიწყება 20 სექტემბერს.

სომხეთის წარმომადგენელი ამერიკაში. ერევანში მიღებულ ცნობების თანახმად სომხეთის ეკონომიური წარმომადგენელი ამხ. კარინიანი უკვე ჩავიდა ნიუ-იორკში, სადაც მან სომხეთის კოლონიის კლუბში გააკეთა დასაბუთებული მოხსენება, რომელიც ეხებოდე სომხეთის დღევანდელ მდგომარეობას.

სომხეთის დამხმარე კომიტეტის ყრილობა. 26 ივლისს დაიხურა სომხეთის დამხმარე კომიტეტის ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე მოხდა მთავარი გამგეობას და სარევიზო კომისარის ხელახალი არჩევნები და კომიტეტის არჩევა, რომელშიაც არჩეულია 11 ახალი წევრი.

სომხეთის წარმომადგენელი სპარსეთში. საბჭოთა სომხეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ტეგერანში ამხ. სარქისიანი დეპეშით იტყობინება, რომ სომხეთის ყოფილი მისიის ქონება და საშუალებანი გადაეცა საბჭოთა სომხეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობას.

ამერიკულ კომიტეტში. ალექსანდროპოლიდან იტყობინებიან: ალექსანდროპოლის ამერიკულ კომიტეტში მოქ. მაკდონალდის მიერ მუშათა და მოსამსახურეთა ელემენტარულ სამოქალაქო უფლებების დარღვევის გამო, ამერიკულ კომიტეტის მუშა მოსამსახურეებმა გამოაცხადეს გაფიცვები.

წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებანი: სასამართლოში პასუხისმგებელ თანამშრომლების შესახებ ჩვენების მიცემისათვის არ იქნან დათხოვნილნი სამსახურიდან და თავაზიანად მოეპყრან მუშა-მოსამსახურეებს.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სახალხო სასურსათო კომისარიატს თანდათან მისდის დამატებითი ცნობები საქართველოს რესპუბლიკის მაზრებში სასურსათო საგადასახადო მუშაობის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, სამაზრო სამეულებს მუშაობის დროს მრავალი დაბრკოლება ხვდებათ გზაზე, მაგრამ მაინც ახერხებენ მის დაძლევას, ვინაიდან მათს განკარგულებაში უკვე არიან გამოცდილი სასურსათო მუშაკები. ამას გარდა წრევანდელი დეკრეტები მთლიან ნატურ გადასახადის შესახებ და სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ დაგზავნილი ინსტრუქციები, ცირკულიარები და დირექტივები საშუალებას აძლევენ მათ, გარკვიონ ფრიად რთულს კითხვებში და საქმე სწრაფად და სამართლიანად გადასჭრან. სამეულებს დიდად უწყობენ ხელს სათემო აღმასკომები, რომელთაც თანახმად მთავრობის დადგენილებისა შრომისათვის ჯილდო აქვთ აღთქმული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობა ყველგან, განსაკუთრებით აღმოსავლეთს საქართველოში, სადაც გადასახადის აკრების დრომ უკვე მიაღწია, მეტად ცოცხლად სწარმოებს. **დღემდე მიღებული ცნობები ერთხმად ადასტურებენ, რომ მოსავალი ყველგან კარგია და შესაძლებელია გადასახადის სრულად შეგროვება.** ბევრგან ხალხი გარკვევით აღიარებს, რომ ნატურ-გადასახადი იმ ფორმით, როგორითაც წელს არის შემოღებული, ყველა სახის გადასახადზე უფრო ადვილია მათთვის.

ამ ოფიციალური დამატებითი ცნობების მიხედვით საგადასახადო მუშაობა ცალკე მაზრებში შემდეგია:

გორის მაზრა: წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა ივლისის 1—ს დაიწყო. სამაზრო სამეულს პირველ დღეებშივე დიდი დაბრკოლება შეხვდა წინ. გადასახადის გასაწერად საჭირო სასტატისტიკო ცნობები მთელს მაზრაში არსად აღმოჩნდა, თუმცა სამეულმა მიმართა ყველას: გადასახადის ინსპექტორს, საადგილ-მამულო განყოფილებას, თესვის კომიტეტს, სასტატისტიკო ბიუროს და ცენტრალურ სასტატისტიკო სამართველოს. ბოლოს სამეული იძულებული გახდა ესარგებლნა ცენტრ. სასტატისტიკო სამართველოს 1917 წლის ცნობებით და იმ მასალით, რომელიც შეგროილ იქმნა წარსულის წლის ნატურ-გადასახადის კამპანიის დროს. თემის წარმომადგენელთა ყრილობა უკვე გაიმართა. მან დაამტკიცა წინასწარ შედგენილი გაწერა თემებზე. ყრილობის შემდეგ სამეულის წევრნი ადგილებში გაემგზავრნენ მუშაობის სახელმძღვანელოდ თემებში. სამაზრო სასურსათო კომისარი მიმღებ პუნქტების (ბეღლების) ორგანიზაციას შეუდგა. მიმღები პუნქტები შემდეგს ადგილებში იმოქმედებენ: 1. ბორჯომში, 2. ხაშურში, 3. გომში, 4. ქარელში, 5. გორში, 6. გრაკალში და 7. კასპში.

ტფილისის მაზრა: სამაზრო სამეული ივლისის 5 ს დაარსდა და მუშაობასაც შეუდგა. პირველსავე სხდომაზე გადასახადი გაანაწილა თემებზე. ამ განაწილებას საფუძვლად დაედო 1917 წლის აღწერილობა და სახლის პატრონთა შარშანდელი სიები. გადასახადის შეწერის დროს მხედველობაში იქმნა მიღებული გადახდის უნარიანობა. ზოგან [illegible] ფუთი მარცვლეული (ყარაიაზის რაიონში).

შეწერილია განსაკუთრებით მდიდარ ჩარჩ-ვაჭრებზე. **გადასახადს ხალხი კარგის თვალით უყურებს. შარშანდელ გადასახადის ნარჩენი შემოდის.** წრევანდელ გადასახადის აკრება ივლისის ბოლოს მთელს მაზრაში დაიწყება. **მოსავალი კარგია.**

სიღნაღის მაზრა: სამაზრო სამეული დაარსებულია სამაზრო სასურსათო კომისარს ამხ. ს. რავდიშვილის თავმჯდომარეობით. ერთი ფუთი ხორბლის ეკვივალენტი შემუშავებულია. გამორკვეულია იმ მეურნეობათა ტიპი, რომელიც თავისუფალია გადასახადისაგან და აგრეთვე იმ ზარალის რაოდენობა, რომელიც გამოწვეულია სტიქიურ მოვლენისაგან და რომელიც მეურნეობას გადასახადისაგან ანთავისუფლებს. გადასახადის შეტანას პირველ ვადად სამეულმა აგვისტოს 15 დანიშნა. გადასახადის გაწერის დროს სამეულმა იხელმძღვანელა ხელმეორედ შემოწმებულ შარშანდელ სიებით. სამეულმა გადა წყვიტა, იყოლიოს ოთხი ინსტრუქტორი, რომელნიც პირველ რიგში ქოდალოსი და შირაქის რაიონში გაემგზავრებიან, სადაც მოსავალი ადრე მოდის და შემდეგ თანდათანობით გადავლენ სხვა რაიონებში გადასახადის შეგროვების სახელმძღვანელოდ. **მოსავალი მაზრაში კარგია, ზოგან საუკეთესოა. უნდა ვიფიქროთ, რომ საგადასახადო კამპანია წარმატებით ჩაითვალოს.**

სამხრეთ ოსეთი: სამაზრო სამეული მუშაობას შეუდგა ივლისის 4-ს და პირველ დღეებშივე დიდს დაბრკოლებას წააწყდა. საოლქო ცენტრში არ აღმოჩნდა არავითარი სასტატისტიკო ცნობა არც ამ ოლქის შესახებ და არც ნათესების სივრცისა და მის მდგომარეობის შესახებ. საჭირო გახდა ყველა პარტიულ ამხანაგების მობლიზაცია და მათი შემწეობით თემებში ცნობების შეკრება, რომლის მიხედვითაც განაწილებულ იქნა გადასახადი თემებზე. ამ ჟამად დამთავრებულია გადასახადის განაწილება თემებსა და სოფლებზე. **მოსავალი ყველგან კარგია.**

ახალ-სენაკი: სამაზრო სამეული დაარსებულია. თემებსა და სოფლებზე გადასაგადი განაწილებულია.

სასურსათო გადასახადი. სამაზრო პარტკომის ინსტრუქტორების მოხსენების თანახმად გორის მაზრის თითქმის ყველა თემებში სოფლებს და გადამხდელებს შორის სასურსათო გადასახადის შეწერა უკვე დამთავრდა. ჩვეულებრივად გადასახადი შეეწერა კულაკებს და საშუალო შეძლების გლეხებს. ღარიბი გლეხობა სავსებით განთავისუფლებულია სასურსათო გადასახადისაგან. სასურსათო გადასახადის კამპანია მიმდინარეობს წარწერებით. სრული იმედია იმის, რომ გორის მაზრაში შეიძლება სასურსათო გადასახადის 100 პროცენ. აკრეფა.

სიღნაღის მაზრაში უკვე დაიწყო სასურსათო გადასახადის შეგროვება. სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ მიღებულ ოფიციალურ ცნობით მხოლოდ ერთს რაიონში—ზემო მაჩხაანისაში უკვე შეგროვილია 300 ფუთი ხორბალი. სასურუსათო გადასახადის კამპანია საერთოდ წარმატებით მიმდინარეობს მთელს მაზრაში.

ქრონიკა

◆ **შეჯიბრება.** კვირას 30 ივლისს მიხეილოვის ქ № 116. საყ. სამ. სწავლების ველოდრომში გაიმართება მორიგი გორიელქმოსთა შეჯიბრება.

◆ **საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.** 26 ივნისს მოხდა მორიგი კრება საბჭოსი ამხ. ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო საკითხი გზატკეცილების მდგომარეობის შესახებ. დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიმუშავოს დადგენილების პროექტი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის გზატკეცილების ექსპლოატაციის შესახებ და წარმოადგინოს დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოში. გორის აღმასრულებელ კომიტეტის შუამდგომლობა საავადმყოფო და სასკოლო გადასახადის შემოღების შესახებ გადაწყდა წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან ერთად შეიმუშაოს დადგენილების პროექტი ყველა აღმასკომებისათვის საავადმყოფო [illegible] სასკოლო გადასახადის შემოღების შესახებ და აგრეთვე საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების სასარგებლოდ. ამხ. ჯუღელის მოხსენების გამო ტყვიბულის მაღაროების მდგომარეობის შესახებ საბჭომ დაადგინა ტყვიბულის მაღაროების ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების გადასაჭრე-

სამჭედლოში

ამა ბიჭო ნულა ზანტობ,
აამღერე საბერველი,
სადაც არის დალამდება,
გიგო მოვა იმას ველი.

ნამგალი აქვს წასალები,
ყანა უნდა მომკას ხვალე,
გაანძრიე ჩქარა ხელი,
დაუბერე გენაცვალე.

ამა ვანო დაუჩქარე,
არაკრაკე გრდემლზე კვერი,
ნამგალი გვაქვს გასალესი,
გიგო მოვა, გიგოს ველი.

გავულესოთ ეს ნამგალი,
რომ მან მომკას ჩქარა პური,
ჯალაბობის საზრდო ჰქონდეს
და ჩვენც მოგვცეს დასაპური.

ამა ბიჭო ნულა ზანტობ
აამღერე საბერველი,
სადაც არის დალამდება
გიგო მოვა იმას ველი.

Petrosa.

ად 28 ივლისს დღის 2 საათზე სა- ლხო კომისართა საბჭოს ბინაზე იწვევენ საგანგებო თათბირი, რო- ლშიაც შევლენ ამხ. ტოროშელიძე, რკინი, ჟულელი, შუშკოვი და ფი- ხელაური.

◆ **ექსპლოატატორების გასამარ- ლება.** კომუნისტური ახალგაზრდო- ს კავშირის სამაზრო კომიტეტი უდგა მცირე წლოვანების ექსპლოა- ტაციისაგან დაცვის საქმეს, მასალე- შეგროვებულია კერძო დაწესებუ- ლებებში და ახლო მომავალში გან- ზრახულია მოეწყოს საჯარო გასამარ- თლება უფრო ბოროტ ექსპლოატა- ტორების. შეგროვებული მასალების ხედვით კერძო წარმოებებში ადგი- ლი ჰქონია მცირე წლოვანების 15 16 საათის მუშაობას—დღეში.

◆ **საკანტროლო კომისია.** სამუ- ო ქირის ფონდიდან თანხების სწო- ი გამოყენებისა და უმაღლეს სატა- იფო საბჭოს დადგენილებების ცხო- რებაში გატარების კონტროლისა- ვის, უკანასკნელმა დაადგინა მოაწ- ის სპეციალური კომისია საქართვე- ოს პროფკავშირთა საბჭოს სატა- იფო საეკონომიო განყოფილების, ომუნალურ მეურნეობის განყოფილე- ის კავშირის და ფინანსთა სახალხო ომისარიატის წარმომადგენლების შე- ადგენლობით.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა ამტკიცების წესი. უმაღლეს სატა- იფო საბჭოში ირჩევა შუამდგომლო- ა სახალხო კომისართა საბჭოს წი- აშე საბჭოსათვის ხელშეკრულებათა ანქციის უფლების მინიჭების შესა- ებ, ისე, რომ როდესაც რომელიმე ახალხო კომისარიატი არ დაეთანხ- მება სატარიფო საბჭოს ამა თუ იმ ადაწყვეტილებას, საკითხი განსაჩივ- რების წესის შესახებ უნდა იქნეს ადატანილი სახალხო კომისართა აბჭოში განსახილველად.

◆ **ვახტანგ მჭედლიშვილის მოხ- ენება „ქართული სტუდიის შექმნის შესახებ“.** ხელოვნების სასახლეში, სერგიევის, ქ. 13 სამშაბათს, აგვისტოს 1, მთავარი სახელოვნო კომიტეტი მართავს მოხსენებას ქართული სტუდიის შექმნის შესახებ. მოხსენებას წაიკითხავს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიის რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი. დასაწყისი საღ. 9 საათ.

◆ **ალ. წუწუნავას მოხსენება თეატრის შესახებ.** ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქ. 13 ორშაბათს, ივლისის 31 მთავარი სახელოვნო კომიტეტი მართავს მოხსენებას თეატრის შესახებ. მოხსენებას წაიკითხავს კომიტეტის წევრი ალ. წუწუნავა. კამათში მონაწილეობას მიიღებენ: ვახტანგ მჭედლიშვილი, შ. დადიანი, კ. ანდრონიკაშვილი, ტ. ტაბიძე, გრ. რობაქიძე და სხვა. დასაწყისი საღამოს 9 საათ.

დღეს თეატრებში.

— რუსთაველის თეატრი—ქართული წარმოდგენა. ქართული კლუბის საზაფხულო შენობა—დიდი კონცერტი-კაბარე. საზაფხულო თეატრი „არგო“—საღამო წარმოდგენა. სომხების კლუბის თეატრი—წარმოდგენა სეირნობა. მუშათა ცენტრ. კლუბი—წარმოდგენა-სეირნობა. მუშათა ცენ. კლუბის ახალი თეატრი—კინო. თავისუფალი თეატრი—ნიღაბოსანთა წარმოდგენა. მუშტაიდის თეატრი—საღამო-სეირნობა. თეატრი „ამირანი“—კონცერტი-კაბარე. პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—კონცერტი. ცირკი—მრავალმხრივ საინტერესო პროგრამა.

კინო-თეატრები.

„სოლეილ“—სამღვთო ბრილიანტი. „ეთერი“—კინო დრამა. ოაზისი—ნიღაბი თეთრი კბილებით.

ორშაბათს 31 ივლისს ქართულ კლუბის საზაფხულო თეატრში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი დ. კარპილოვსკის ხელმძღვანელობით, კ. პეტიპას მონაწილეობით.

საქართველოს სამხედრო გზა

8 და 9 ივლისის ძლიერი წვიმე- ით გამოწვეულ გზის დანგრევის ანა- ურ-დარიალის შორის და მრავალ დგილას ხიდების დაზიანების გამო, აწყვეტილი იყო არა თუ ავტომო- ილებით, არამედ ურმებით მიმოსვ- ლაც კი.

უმაღლესმა სამეურნეო საბჭომ უყოვნებლივ მოახდინა მთელი თა- ისი ძალების მობილიზაცია სამხედ- ო გზაზე მიმოსვლის აღსადგენად. მ გზიდან ჩამოსულმა დისტანციის ფროსმა ინჟ. ჯაშმა გვაცნობა შემ- დეგი: მუშაობა დაიწყო 18 ივლისს ადგილას ერთსადა იმავე დროს ანანურ-ფასანაურსა და ფასანაურ- ლეთის შორის, 22 ივლისისათვის შესაძლებელი გახდა ფასანაურამდე ავტომობილებით მიმოსვლა, ხოლო 5 ივლისისათვის ყოველგვარი მიმოს- ლა 164 ვერსამდე-ტფილისიდან. ამ ღეებში მოსალოდნელია ავტომობი- ის მიმოსვლის აღდგენა მთელ გზა- ე აღნიშნულ ადგილამდე.

უკანასკნელი ადგილის შეკეთებას ი დასჭირდება 12—15 დღე, ამ მიზ- ით სახალხო მეურნეობის უმაღლესი აბჭოს პრეზიდიუმი იძენს ხორბლეუ- ის საჭირო რაოდენობას იმ მუშე- ისათვის, რომელნიც მუშაობენ ყაზ- ეგ-დარიალის შორის.

ადგილობრივმა აღმასკომებმა ამ კანასკნელ დღეებში მიიღეს მხურვა- ე მონაწილეობა მუშაობაში.

მაგალითად, ანანურის და ყაზბე- ის აღმასკომებმა წარსულ კვირას ამოიყვანეს დიდძალი მუშა, რომელ- ც დიდის ენტუზიაზმით მუშაობ- ენ.

ფასანაურის და მლეთის აღმასკო- ებმა აღუთქვეს მიიღონ ენერგიული ომები ტვირთზიდვის გადასახადის ახით მუშების გამოსაყვანად.

მომავალში ადგილობრივ აღმასკო- ების მონაწილეობით და იმ საშუა- ლებებით, რომელსაც იძლევა სახალ- ო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მუ- აობა საქართველოს სამხედრო გზა- ზე მოწესრიგდება და სულ ახლო მომავალში შეკეთებული იქნება ყველაზე უფრო დაზიანებული მე 164 ვერსი, სადაც გზა 100 საჟენის მანძილზე სრულებით გადარეცხილია წვიმების მიერ (თერგის ხიდიდან 2 ვერსით დაშორებულია).

ეს არის სამართველოს ტერიტორიაზე, მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მე-172 ვერსზე არის მეტად სერიოზული დაზიანება, რომლის შეკეთებას ჯერაც არ შესდგომიან, მაგრამ გამოკითხვით შესაძლებელი გარდა იმის გაგება, რომ იქაც ამ დღეებში დაიწყებენ მუშაობას და მოძრაობაც აღდგენილი იქნება კავკავამდე.

იმ გრანდიოზულ დაზიანებათა შესაკეთებლად, რომელიც არსებობს საზოგადოდ ყველა გზა ტკეცილებზე, დარეც არის შედეგი იმისა, რომ თითქოს იმპერიალისტურ ომის დაწყებიდან, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ—ივლისის ძლიერის წვიმების მეოხებით, რამაც საბოლოვოდ დაანგრია გზები, საჭიროა ჩაბმულ იქმნას საქმეში თვით ადგილობრივი გლეხობა, გაიმჭვალოს იგი მოვალეობის შეგნებით სახელმწიფოს და თავის წინაშე. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელი ცდა, სამელიორაციო მუშაობისა დ მდინარეების ნაპირების გამაგრების სახით, არის ამის საუკეთესო დამამტკიცებელი და მხოლოდ ერთი ნაბიჯი სახელმწიფო აღმშენებლობაში და სტიქიასთან ბრძოლაში მცხოვრებთა უშუალო მონაწილეობისა.

აი ის ძირითადი ამოცანები, რასაც ემსახურება საბჭოთა ხელისუფლება. ამიტომაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სცდილობს შექმნას ისეთი მოქნილი აპარატი, რომელსაც შეეძლება გლეხობასთან დაახლოვება, პრაქტიკულ, ერთსულოვან მუშაობის მეოხებით.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრი: **ელბაქიძე.**

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა თბილისის მაზრაში

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მიერ შედგენილ გაზაფხულის ანკეტების საშუალებით მივიღეთ შემდეგი სურათი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობისა 1922 წ. გაზაფხულის განმავლობაში.

1. ამინდის ზოგადი დახასიათება.

საზოგადოთ ამინდი ტემპერატურის მხრივ გაზაფხულის განმავლობაში უნდა ჩაითვალოს ზომიერად: ცხელი ამინდი სჭარბობდა თელეთის და ასურეთის თემებში, ცივი კი მარტყოფის, პრიუტის, სართიჭალის, საგარეჯოს და ზემო წალკის თემებში. ნალექების მიხედვით მაზრა ნაკლებულებას განიცდიდა, თანაც ქარიანი დღეები ბლომად იყო; არც ნიაღვარი აცდენია მაზრას: სახელდობრ პრიუტის და სართიჭალის თემში. ყინვებსაც ჰქონდა ადგილი თემებში და კერძოთ წალკის თემში ყინვა იყო 1-თიბათვეს. მაგრამ ყველაზე მაზარალებლათ უნდა ჩაითვალოს გაზაფხულის გვალვები, რაზედაც განსაკუთრებით სჩივიან შემდეგი თემები: მარტყოფის, თელეთის საგარეჯოს, და ყარაიაზის.

2. ხვნა-თესვა.

ა. გაზაფხულის ხორბლეულობის ნათესები:

წრეულს გაზაფხულის ხორბლეულობა დაითესა თავის დროზე, ზოგან კი ადრეც დაითესა, მაგალ. ყარაიაზში და წალკაში. თესვა დაგვიანდა ცოტა პრიუტის თემში, თოვლის და ცივი ამინდის გამო.

გაზაფხულის ნათესების სივრცე საერთოდ იმატა წრეულს. კერძოთ თემებში (მარტყოფი, ყარაიაზი, სართიჭალა) ნათესების სივრცე საგრძნობლათ გაიზარდა. მის შემცირებას-კი ჰქონდა ადგილი წყნეთის და გომბორის თემებში თესლის უქონლობის გამო.

ჩვენს მაზრაში უფრო და უფრო ფეხს იკიდებს სიმინდის კულტურა, ამიტომ ყველაზე მეტი ზოდა დაეტყო მის ქვეშ მყოფ სივრცეს, განსაკუთრებით კი ყარაიაზში და მარტყოფში. გაზაფხულის ნათესებში შემდეგი ადგილი უჭირავს გაზაფხულის პურს, ხოლო შედარებით ნაკლებ ხმარებაშია გაზაფხულის ქერი და ქვავი.

რაც შეეხება თესლის ხარისხს, საერთოდ უნდა ჩაითვალოს იგი დამაკმაყოფილებლათ, მხოლოდ იგივე წყნეთის თემი სჩივის მის უვარგისობაზედ.

თესლის საკმაო რაოდენობა არც ერთ თემს არ მოეპოვებოდა, თითქმის ყველა თემები აღნიშნავენ მის ნაკლებობას, უმთავრესად-კი გაზაფხულის პურის თესლის ნაკლებობას.

მხოლოდ მაზრის მცხოვრებთა ნახევარმა დასთესა საკუთარი თესლი მეორე ნახევარი-კი იძულებული იყო ეყიდნა სხვაგან ან შეეძინა მთავრობისაგან. ერთმანეთში-კი თესლის გასესხებას ძალიან ცოტა ადგილი ჰქონდა.

თესვის დრო არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლათ, რადგან, როგორც ზევით იყო მოხსენებული, გვალვა უშლიდა ხელს, ყოველ შემთხვევაში ნათესებმა მაინც მოახერხეს თავის დროზე ამოსვლა. არც ერთი ჭირი და უბედურობა არ ასცილებია ჩვენს ნათესებს, რის გამო უმთავრესად დაზიანდა გაზაფხულის პური და ქერი.

მავნებლებზედ მაინცა და მაინც თემები არ სჩივიან, მხოლოდ სართიჭალაში ადგილი ჰქონდა თაგვს, რომელმაც დაზიანა სიმინდი და გაზ. პური, ყარაიაზში ტარაკანას და წალკაში ბოსტანას.

რომ გადავავლოთ თვალი ნათესების საერთო მდგომარეობას, დავინახავთ შემდეგ სურათს 1—თიბათვისათვის.

სიმინდი იყო საშუალოზე კარგი, გაზაფხულის ხორბალი, ქერი და ქვავი იყო საშუალო.

ბ. ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდა შემოდგომის ნათესებიც: იგივე გვალვამ და ქარმა მიაყენა ასე თუ ისე ზიანი მათ. გარდა პრიუტის თემისა 1—თიბათვისათვის ყველგან შემოდგომის ხორბლეულობის ნათესების მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს საშუალოზე კარგად, ხოლო პრიუტის თემში საშუალოზე მდარედ.

3. მევენახეობა.

წრეულს ვენახებმა თბილისის მაზრაში კარგად გამოიზამთრეს. გაზაფხულის მუშაობაც თავის დროზე დაიწყო. ვაზიც თავის დროზე აყვავდა. ქარმა და გვალვამ ვენახებიც არ მოასვენა და ცოტა ზიანი მათაც მიაყენა.

ფილოქსერას და ჭრაქს ადგილი ჰქონდა მარტო საგარეჯოს თემში, ხოლო ვაზის ჭიას ასურეთში.

საზოგადოთ ვენახებს კარგი პირი უჩანთ, ფასები გოგირდზე და შაბიამანზე იყო შემდეგი: გოგირდი—500,000 800,000 მან. შაბიამანი 650,000 1200,0000 მან.

4. მეხილეობა.

თუმცა ხეხილებმა კარგათ გამოიზამთრეს, მაგრამ გაზაფხულის განმავლობაში გვალვამ და ქარმა, ძალიან შეამცირა მათი ნაყოფიერება. ამ ჟამად ხეხილებს ცუდი პირი უჩანთ.

4. მებოსტნეობა.

ბოსტნეულობა ჩვენში გავრცელებულია უფრო მინდვრებში და ვენახებში. ბოსტნეულობას კარგი პირი უჩანს და კარგ მოსავალს უნდა ველოდეთ, უმთავრესად კარტოფილისა.

6. სათიბები.

საუბედუროთ თბილისის მაზრაში საკვები ბალახი არ ითესება და გლეხობა სარგებლობს მხოლოდ ბუნებრივი სათიბებით, რომელთაც 1 თიბათვის საშუალო პირი უჩანდათ. ეხლა მრავალი წვიმების გამო შესაძლებელია მისი მოსავალიც გაუმჯობესდეს.

7. მეაბრეშუმეობა.

მეაბრეშუმეობა ძალიან ნაკლებად არის გავრცელებული მაზრაში. სახელდობრ მას აქვს ადგილი სართიჭალის და ყარაიაზის თემებში. ამ ორ თემში აბრეშუმის ჭია გამოვიდა თავის დროზე. გასულ წელთან შედარებით მისი რაოდენობა არ გაზრდილა. ჭიის გამოკვება სართიჭალაში მიმდინარეობს ცუდათ, ყარაიაზში კი კარგად. პარკის მოსავალს სართიჭალაში საშუალო პირი უჩანს, ყარაიაზში კარგი.

8. მეფუტკრეობა.

ფუტკარმა ცუდათ გამოიზამთრა სუსხიანი ზამთრის და საკვების ნაკლებობის გამო. ფუტკარი დაახლოვებით თავის დროზე გამოვიდა. გაზაფხულზე ფუტკარს ცუდი პირი უჩანდა.

9. მესაქონლეობა.

საქონელმა ძალიან ცუდათ გამოიზამთრა, უმთავრესად საკვების სიმცირის გამო, ამისდა მიხედვით შემჩნეული იყო გაზაფხულზე საქონლის ავადმყოფობანი: შავი ჭირი: სოფელ სართიჭალაში, თუქურძიაში, ქეცი: სართიჭალაში, მანგლისში, ყარაიაზში, ასურეთში და წალკაში, ციმბირის სენი—მანგლისში; ნამდვილათ სიმშილი გადაიტანა საქონელმა წყნეთის თემში, უმთავრესად დაზარალდა სნებისაგან ცხენი და მსხვილფეხა საქონელი. დახოცვასაც ჰქონდა ზოგიერთ თემში ადგილი საქონლის ჭირის გამო. უმთავრესად დაიხოცა ცხენი, ხარი და ძროხა. შედარებით წარსულ წელთან მესაქონლეობამ მაზრაში საგრძნობლათ იკლო, კერძოდ მსხვილფეხა საქონელმა. საქონლის შენახვის პირობები ამ ჟამად უნდა ჩაითვალოს საშუალოდ.

დაბოლოს უნდა ითქვას, რომ თბილისის მაზრაში ძალიან სუსტიდ არის გავრცელებული უფრო მაღალი კულტურის მცენარეები, ვინემ ხორბლეულობა. უკანასკნელის მოყვანაც მეტის მეტად პრიმიტიულათ სწარმოებს. აგრიკულტურის ნაშთიც არ მოგვეპოვება მაზრაში, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ზოგიერთ კულტურას სულაც არ მისდევენ, როგორიც არის თამბაქო, ბამბა და სხვა. მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობაც ძალიან მცირეა.

მაზრის ერთად ერთი მასაზრდოვებელი არის სოფლის მეურნეობა, და თუ მას ჯეროვანი ყურადღება არ ვათხოვეთ აგრიკულტურის და მელიორაციის მხრივ, ჩვენ დაქვეითებულ მდგომარეობიდან თავის დღეში ვერ გამოვალთ.

სამაზრო სტატსბიუროს გამგე **ი. ვარძიელი.**

ნიჟეგოროდის ბაზრობაზე.

ბაზრობის ადგილზე. ამ ჟამად სწარმოებს სავაჭრო ფირმებისა და კერძო პირთა გაცხარებული ოპერაციული მუშაობა. საჩქაროთ ეზიდებიან საქონელს და ავსებენ საწყობებს. უკვე ჩავიდნენ შპალერებით მოვაჭრეები, ქალაქების კერძო და სახელმწიფო ფირმები და სხვ. კერძო პირთა და გამოჩენილ ფირმების მხრივ სავაჭრო შენობების დიდი მოთხოვნილებაა. ამ უკანასკნელმა დღეში 40 კონტრაქტებიდან, რომელიც დადებულ იქნება სავაჭრო შენობების გასაქირავებლად, ნახევარი კერძო მოვაჭრეებს ეკუთვნის. მთავარი სახლი მთლიანად გაქირავებულია, ხოლო სავაჭრო კორპუსების 60 პროცენტითა გაცემული.

შემოტანის ტარიფი ბაზრობაზე. ნიჟეგოროდის ბირჟის კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის წინაშე, ნიჟეგოროდის სამაზრო რაიონის საწყობების შემოტანილ საქონელთა საწყობებად ცნობის შესახებ, იმ მიზნით, რომ ტარიფმა არ განიცადოს გარდატეხა ნიჟეგოროდით საქონლის გატარებისა და ნიჟეგოროდში ახალი მისამართის და მიმღებლის დანიშვნის დროს.

მუშათა ცხოვრება

ტყიბული

ამიერ კავკასიის რკინის გზის ხეტყის დამამზადებელი ტყიბულის განყოფილება ყოველმხრივ არღვევს შრომის კანონებს. ეწევა მუშათა შრომის ექსპლოატაციას და ატყუებს მუშებს როგორც შესრულებულ სამუშაოს გამოხომვაში ისე ანგარიშში. ტყიბულის შრომის ინსპექტორმა რამდენჯერმე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. მან რამდენჯერმე გააფრთხილა განყოფილება, რომ დამზღვევ კასაში ზღვეულების ფული შეეტანა თავის დროზე. არც ერთხელ მის გაფრთხილებას ანგარიში არ გაუწიეს. მაშინ შრომის ინსპექტორმა წარმოება დააჯარიმა 25 მილიონ მანეთით. წარმოება მეორეჯერაც იქმნა დაჯარიმებული 12 ნახევ. მილიონ მანეთით მუშების უსაზღვრო ექსპლოატაციისათვის. ხსენებულ წარმოების გამგე და მისი თანაშემწე სრულებით არ უწევს ანგარიშს არც არავითარ შრომის კანონებს და არც შრომის ინსპექტორის განკარგულებას. მუშებთან ამბობს, ჩვენ ავტონომიური ვართ და არ ვემორჩილებით მათ. ეს აშკარა თავხედობა და წრეს გადასულობა მათი მხრივ. რესპუბლიკაში ყველასათვის სავალდებულოა რესპუბლიკის კანონები. ეს თუ წვრილ მოხელეებმა არ იციან, სასურველია ამის შესახებ მაღლიდან მოუვიდოდეთ მათ სათანადო განკარგულება.

ტყიბულელი.

მიწად-მოქმედების სახალხო საკომისარიატოს სანიმუშო სახელოსნო.

სახელოსნო იმყოფება სუფსარქისოვის ქუჩაზე № 48. სახელოსნოში არის საფეიქრო და ნოხების საქსოვი განყოფილება. მუშაობს 5 მამაკაცი და 10 დედაკაცი, მუშაობენ აქ უმთავრესად მცირეწლოვანნი, მათი რიცხვი 60. შრომის დაცვის კანონები სახელოსნოში არ არის სავსებით შესრულებული. შრომის კანონები მოზარდების მიმართ სრულდება. აქ კულტმუშაობა სრულებით არ სწარმოებს. არც გაზეთები მოდის და არც სამკითხველოა. კარგი იქნება ყოველივე ამას ყურადღება მიექცეოდეს.

ვინმე.

„არტოს“ ბაღში.

(მიხაილოვის ქუჩაზე).

ბაღი „არტო“—მიხაილოვის ქუჩაზე „ნოის“ გვერდით, ამ რამოდენიმე ხნის წინათ გადაეცა იჯარის წესით განათლების კომისარიატის მიერ კერძო პირებს.

მათ დაიწყეს მოკალათება და თავის წესების შემოღება. აიყვანეს მოსამსახურეები შრომის ბირჟის გარეთ. 17 მოსამსახურიდან 11 უბირჟოთ (?). ყველა თავისი ხალხი. როცა შეეკითხენ რატომო,—პასუხი ასეთი გასცეს.

ყველა შრომის ბირჟის გარეთ მიღებული ჩვენი მოსამსახურეები, პასუხისმგებელი მომუშავენი (?) არიან.

საჭიროა ამ „პასუხის მგებელ მომუშავეთათვის“—ხაზეინების პასუხისგებაში მიცემა, რათა მათ შეისწავლონ შრომის დაცვის კანონები.

მოსამსახურე.

როგორ ექცევიან შრომის დაცვის კანონებს.

ამ უკანასკნელ დროში მწარმოებლები ცდილობენ შრომის კანონებს გვერდი აუხვიონ. მუშებს სახელოსნოში არ აყენებენ და სახლში აძლევენ სამუშაოს, რათა თავიდან აიცილონ დაზღვევის გადასახადი და სხვა მოთხოვნილებანი.

ასეთი შემთხვევა იყო მდიდარ მკერავი შერემეტიევის სახელოსნოში. „შინ მომუშავე“ მერკვილაძე შერემეტიევმა დაითხოვა და თავი გაიმართლა—„ჩემი მუშა არ ყოფილა მერკვილაძეო“.

ამისათვის შრომის დაცვის განყოფილებამ დააჯარიმა შერემეტიევი, დააბრუნა უკან მერკვილაძე და გააფრთხილება მისცა შერემეტიევს, თუ განმეორდა ასეთი შემთხვევა, დატუსაღებით დასჯიდითო.

ლ. ლ.

მეხსპარეთა და მეტყავეთა ამხანაგობა.

ტფილისში არსებობს ასეთი ამხანაგობა „ტფილისის“ სახელწოდებით. ამხანაგობა აგროვებს და წმენდს მატყლს. ამხანაგობაში მუშაობს მამაკაცი 11, დედაკაცი 27, მოზარდი 5. საზოგადოების თავმჯდომარეთაა სტფირნიშვილი. ასეთი უპატრონო და მიგდებული ამხანაგობა მეორე არ მოიპოვება ტფილისში. მუშა-მოსამსახურეები სრულიად მოწყვეტილნი არიან პროფმოძრაობას. ამიტომაც მათში ძალიან სუსტია კლასიური შეგნება, რისთვისაც თავიანთ ინტერესებს ისე ვერ იცავენ როგორც საჭიროა. სამკურნალო დახმარებას მუშა მოსამსახურენი მაინც მოკლებულნი არიან. ისინი შრომის არც სხვა კანონებით სარგებლობენ.

მათთვის არც დამზღვევი კასა არსებობს არც სოციალური დაზღვევა და არც სხვა რამ. სასურველია სათანადო კავშირი ყურადღებას მიაქცევდეს და ჩააბამდეს მათ პროფმუშაობაში.

კ. პ.

საპნის ქარხანა.

ვარანცოვის ქუჩაზე საგუბერნიო სატუსაღოს ახლო „მშრომელთა არტელს“ აღებული აქვს იჯარით საპნის ქარხანა. ამ ქარხანაში სულ მუშაობს 8 კაცი. არტელი დიდათ არ იწუხებს თავს შრომის კანონების დაცვით. თითქმის არც ერთი სავალდებულო დადგენილება არტელის მიერ არ არის შესრულებული. მუშებს არა აქვთ საანგარიშო წიგნაკი. არაა სოციალური დაზღვევა. არ სწარმოებს არავითარი ზღვეულების შეტანა დამზღვევ კასაში, სამკურნალო დახმარების საქმე სრულიად არაა მოწყობილი. კულტმუშაობაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. სასურველია შრომის დაცვის განყოფილება და პროფკავშირი ხშირ-ხშირათ შეიხედავდეს ამ ქარხანაში. საჭიროა მასში მომუშავეების პროფმოძრაობაში ჩაბმა და თვით ქარხანაში შრომის კანონების დაცვა.

იკაური.

დასასვენებელ სახლებში

დასასვენებელ სახლებში ძალიან მოისუსტებს კულტმუშაობა. იქ მოგროვილ მუშებს ძალიან სწყურიათ გონებრივი გართობა. ასეთ გართობას რომ მიეცნენ, ამისათვის მათ იქ დრო აქვთ და საშუალებაც. ამ მიზნით კარგი იქნება მოეწყობოდეს თანამედროვე და პრაქტიკულ საკითხებზე ლექცია-მოხსენებები.

არ არის კარგად დაყენებული გაზეთების მიღების საქმეც. გაზეთები დღე გამოშვებით და ძალიან უსისტემოთ მოდის. უეჭველად საჭიროა ეს საქმე მოწესრიგდეს. უგაზეთოთ აგარაკი ერთგვარ ციხეთ გადაიქცევა. საჭიროა ამას ვისგანაც ჯერ არს დროით მიექცეოდეს ყურადღება.

მო—კე.

არა სასურველი მოვლენა.

არსებობს კანონი შვებულების შესახებ. ამ კანონით ნამსახურ ხანის მიხედვით მუშებს ეძლევათ ორი კვირა და ან თვის შვებულება. თუ წარმოების მიზეზით შვებულება არ მოხერხდა, მაშინ მუშა ღებულობს ფულად კომპენსაციას. ამ ფულად კომპენსაციამ ზოგიერთი მუშა მოსამსახურეები ძალიან გაიტაცა. ისინი უთანხმდებიან წარმოების მეპატრონეთ და ადმინისტრაციას და ღებულობენ ფულად კომპენსაციას. ეს არა სასურველი მოვლენაა და მას უნდა შევებრძოლოთ. შვებულება, სადაც კი ეს მოსახერხებელია, დასასვენებლათ უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი ჯანმრთელობა გაჭირვებული ცხოვრებით ძალიან შერყეულია და დასვენება უფრო მოგვიხდება, ვიდრე ფულად კომპენსაცია. მით უმეტეს უნდა გამოვიყენოთ შვებულება დასასვენებლათ, რომ გვაქვს დასასვენებელი სახლები. გვმართებს მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ ჩვენს ჯანსა და ღონეს და მეტი მზრუნველობაც გამოვიჩინოთ მისადმი.

მუშა.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ცეკას მუშაობის ანგარიში.

(მაისში და ივნისში).

პარტიული ორგანიზაციების საერთო მდგომარეობა.

სამაზრო კომიტეტების სამოქმედო რაიონების ინდივიდუალურ განსაკუთრებულ თვისებათა შორის უნდა აღინიშნოს მცხოვრებლების მრავალფეროვანი შემადგენლობა (ნაციონალურისა და კულტურულის თვალსაზრისით) ბორჩალოს, ახალქალაქის, ახალციხის მაზრებისა და ბათომის ოლქისა.

ზოგიერთ მაზრებში იყო ჯგუფობრივობა და სხვადასხვაობა არა პრინციპიალური, არამედ პირდაპირ პირადი ხასიათისა. ასეთ ადგილებში დანიშნულ იყო სპეციალური კომისია საქმის გამოსაძიებლად.

სიმშილობასთან ბრძოლას საქართველოს მაშტაბში აწარმოებს საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი. ჩვენ ამხანაგებს მიცემული ჰქონდათ ცირკულიარულათ დირექტივები **სასწრაფო** ზომების მისაღებად **რუსეთისა და საქართველოს** დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ყველა მაზრებში იყო შემთხვევები პარტიიდან გამოსვლისა. ამის მიზეზები იყო: 1) პარტიული მობილიზაცია, 2) მძიმე მატერიალური მდგომარეობა, 3) რელიგიური მრწამსი, 4) არა სათანადო მოპყრობა უფროსი ამხანაგების მხრივ და სხვ. შემუშავებულ იქნა სპეციალური ცირკულიარი ასეთ არანორმალურ მოვლენასთან საბრძოლველი ზომების აღნიშვნით.

უთანხმოებანი მაღალ და დაბალ ორგანიზაციათა შორის ცეკას არ აღუნიშნავს. დაბალ ორგანიზაციათა დათხოვნისა და დაშლის შემთხვევები არ ყოფილა.

საორგანიზაციო მუშაობა.

საერთო-რესპუბლიკანურ მაშტაბით, ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გაიმართა პარტიული კონფერენცია, რომელზედაც მიღებულ იქნა ცვლილებანი ორგანიზაციული სტრუქტურისა,—სახელდობრ. გაუქმება სარაიონო კომიტეტებისა ყველგან, გარდა სამრეწველო და ნახევრად სამრეწველო რაიონებისა (თბილისი, ჭიათურა, ხონი, ბორჯომი, სამტრედია და ტყიბული). და დაარსება სათემო კომიტეტებისა. სარაიონო კომიტეტები დაშორებულნი იყვნენ მასებისაგან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაუქმებულ იქნენ სათანადო საადმინისტრაციო ერთეულები.

სათემო კომიტეტები არსდებიან პარალელურათ სათემო აღმასკომებთან, ამ უკანასკნელთა მუშაობის სახელმძღვანელოთა და თვალყურის სადევნებლად.

ყველაზე უფრო მსხვილ ორგანიზაციებთან კავშირის გასაბმელად ცეკას საორგანიზაციო განყოფილებასთან მოეწყო კოლეგია პროფ კავშირთა, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის, ქალთა განყოფილებისა და წითელი არმიის წარმომადგენელთაგან. გარდა ამისა ცეკას თითო წევრი მიმაგრებულია ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირზე და პროფ-კავშირებზე მათი იდეიური და პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის.

ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებასთან დაარსებულია საგიტაციო კოლეგია. ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს დაგზავნილი აქვთ სათანადო დირექტივები ასეთივე კომისიის მოსაწყობათ.

კავშირის დაჭერა ადგილობრივ ორგანიზაციებთან სწარმოებდა მიმდინარე მიწერ-მოწერით, ცირკულიარული წერილებით, სპეციალური ანკეტებით, საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების დაგზავნით, მობილიზაციით და ამხანაგების მაზრებში დროებით გაგზავნით, პარტიული ორგანოების მდგომარეობის გასაცნობათ და პარტიული მუშაობის სახელმძღვანელოთ და მოსაწესრიგებლად.

მაისში და ივნისში ინსტრუქტორებმა ჩამოიარეს და დაათვალიერეს: ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის, სიღნაღის, თელავის, დუშეთის, ოზურგეთის, გორის, შორაპნის, სენაკის, სამხრეთ-ოსეთის და თიანეთის მაზრები.

ცეკას საინფორმ. განყოფილება.

(შემდეგი იქნება).

გ ო რ ი.

25 ივლისს გორის სამაზრო კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა მაზრის ინსტრუქტორთა თათბირი, რომელსაც დაესწრო თემებიდან გამოწვეული ათი ინსტრუქტორი. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება სრულიათ საქართველოს პარტიულ კონფერენციის შესახებ, 2. პარტიულ მუშაობის ახალი მეთოდები, 3. აგიტაცია პროპაგანდის და პოლიტიკურ განათლების დარგში მუშაობის შესახებ, 4. კომუჯრედებში მუშაობა და სხვა ორგანიზაციულ ხასიათის საკითხები პარტიულ კონფერენციის შესახებ. მოხსენება გააკეთა სამაზრო კომიტეტის მდივანმა; იგი დაწვრილებით შეჩერდა კოოპერაციის საკითხზე, და განსაკუთრებით ინსტრუქტორების ყურადღება მიაქცია ამ დარგში მუშაობის გაძლიერებას. შემდეგ ის შეეხო პარტიის ორგანიზაციულ აღმშენებლობას. უნდა აღინიშნოს ის, რომ კონფერენციის დადგენილებას პარტიული ორგანიზაციების ახალი სტრუქტურის შესახებ დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ თითქმის ყველა პასუხისმგებელი ამხანაგები. ეს ნაბიჯი სავსებით სასარგებლო და მიზან შეწონილია, შეუძლია უფრო მჭიდროთ დააკავშიროს სამაზრო კომიტეტი ადგილებთან და გახდოს პარტიულ ორგანოები ცოცხალ, მომქ-

მედ ორგანიზაციებათ. რაიონულ კომიტეტების გაუქმება და ინსტრუქტორთა. კადრის შექმნა სავსებით შეეფერება გორის მაზრის სინამდვილეს. სამაზრო კომიტეტმა თათბირზე მოწვეული ინსტრუქტორები დაგზავნა თემებში ადგილობრივ მუდმივ სამუშაოთ, რომელთაც უშუალო კავშირი ექნებათ სამაზრო კომიტეტთან. თათბირზე განხილულ იქნა საერთოთ აგიტაცია პროპაგანდის და პოლიტიკურ განათლების დარგში მომავალი მუშაობის გეგმა, განსაკუთრებით კომუჯრედებში მუშაობის ახალი შინაარსი. დღემდე კომუჯრედებში მუშაობა სრულებით ვერ ამართლებდა, კომუჯრედების როგორც ძირითად პარტიულ ორგანიზაციის როლს და დანიშნულებას კომუჯრედის კრებებზე ირჩეოდა ზოგადი პოლიტიკურათ ხასიათის საკითხები, რაიც ცოდნა-განვითარების მხრივ კომუჯრედის შემადგენლობის სხვა და სხვაობის გამო, ნაკლებათ აინტერესებდა წევრებს. ამრიგად უჯრედი დღემდე უფრო კარჩაკეტილ, საზოგადოებას მოწყვეტილ ვიწრო წრეს წარმოადგენდა. ვიდრე პარტიულ ორგანოს, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს, ა მოძრაოს უპარტიო მშრომელი მასსა და გაუწიოს მას სათანადო ხელმძღვანელობა. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა და პროგრამა აგიტაცია პროპაგანდის, პოლიტიკურ განათლების დარგში საერთოდ და კერძოთ კომუჯრედებში მომავალი მუშაობის შესახებ, რომელიც დაეგზავნება ინსტრუქტორებს ადგილობრივათ სახელმძღვანელოთ.

თათბირზე დამატებითი რჩევა და მოგებები მიეცა ინსტრუქტორებს აგიტაციის საწარმოებლათ ფართო გლეხურ წრეებში და თვალყურის სადევნებლათ სასოფლო კომისიების მუშაობისადმი, გადასახადის განაწილების საქმეში, რომ გასავალი არ ჰქონდეს მშრომელი ხალხის მტრების პროვოკაციას, რომლებიც ცდილობენ ყოველი საშუალებით ხელი შეუშალონ მთავრობას სასურსათო გადასახადის აკრებაში.

დარწმუნებული ვართ, რომ პარტიულ ორგანიზაციების ახალი სტრუქტურა, რომელიც აუცილებელ აქტიურ ხდის ხშირ თათბირების მოწვევას, მისცემს საშუალებას სამაზრო კომიტეტს მჭიდრო კავშირი დაიჭიროს ადგილებთან და სწორი ხაზი მისცეს მათ მუშაობას.

ბ. მ.

აბაშის რაიონი

(სენაკის მაზრა).

პარტმუშაობა მთელ რაიონში თავის სიმაღლეზე სდგას.

ახლახან მოწვეულ რაითათბირის შემწეობით თემკომის მდივნები გაეცნენ მრავალ საჭირბოროტო საკითხებს.

რაიპარტკომი გაუქმებულია; რაიონში სამი პასუხისმგებელ მუშაკის მაგიერ დატოვებულია ერთი. ამ ცვლილებას ორგანიზაციაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია, პირიქით, მუშაობა გამოცოცხლდა. არც ზაფხულის საყანო მუშაობას პარტიული ცხოვრების ნორმალური მსვლელობა დიდად არ შეუფერხებია.

საჭიროა პოლიტიკური მუშაობის უფრო გაძლიერება, მშრომელი მასისთვის ცოცხალ მაგალითების ჩვენება და ქ. პ—სა და ა. კ. კ შორის ზოგიერთ თემებში უფრო მჭიდრო დამოკიდებულების დამყარება.

ქოხ-სამკითხველოებს პარტკომები აძლევენ გაზეთებს, მაგრამ ისინი არ არიან სასურველად მოწყობილი, რისთვისაც აუცილებელია სასწრაფოდ რადიკალური ზომების მიღება.

ჟან—ფანი.

წარმოებითი პროფკავშირებში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირის მოწვევის შესახებ.

საქართველოს ყველა საკავშირო ორგანიზაციებს.

(ცირკულიარი № 53).

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი ამასთანავე გაუწყებთ, რომ ქ. ტფილისში აგვისტოს 10-სთვის დანიშნულია ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირი და წინადადებას გაძლევთ გამოგზავნოთ ამ თათბირზე თქვენი პასუხისმგებელი მდივანი.

თათბირის დღიურ წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

1. ამიერ-კავკასიის პროფმოძრაობის ჯამი (ს. რ. პ. კ. ს. მოხსენებები).
2. ს. რ. პ. კ. ს. ამიერ კავკასიის ბიუროს მომავალი არსებობა.
3. სრულიად რუსეთის ყრილობისათვის მზადება.

ს. პ. კ ს. პრეზიდიუმი გატყობინებთ ამას და ზემოთ დასახელებულ მდივნებს წინადადებას აძლევს გამოცხადდნენ ს. პ. კ ს. საორგანიზაციო განყოფილებაში 9 აგვისტოს (ტფილისი მუშათა სასახლე მე 2 სართული, მე 8 ოთახი).

სია საქართველოს ორგანიზაციების, რომლებიც აგზავნიან თავიანთი წარმომადგენელს თათბირზე:

1. საბ დაწ. მუშაკთა კავშირი. (?), 2 სოც.-კულტ., 3. მეფიქრეების, 4 მეფეიქრების, 5. საშ.-სას. შრომის, 6. სახალხო გამოკვების, 7. კომუნალურ მეურნეობის, 8. სავემ-საკვების, 9. ამშენებლების, 10. მკერავების, 11. მეტყავეების, 12. მბეჭდავების, 13. ფოსტა ტელეგრაფის, 14. მიწა-ტყის, 15. ტრანსპორტის, 16. ხელოვნების, 17. ხის დამამუშავებლების, 18. ქიმიკების, 19. წყლის, 20. სამთო მრეწველობა, 21. აჭარის პ. კ. ს., 22. აფხაზეთის პ. კ. ს., 23 ქუთაისის სამაზრო პროფბიურო, 24 ფოთის ქალაქს პროფბიურო, 25 ტფილისის რკინის გზის კავშირი, 26. ბათომის, 27. სამტრედიის, 28. ხაშურის.

ს. პ. კ. ს. მდივანი ნ. კიკნაძე.

ს. პ. კ. ს. საორგ. განყ გამგე
ქ. ოლლავაძე.

ქ. გორი.

15 ამა მკათათვის ქ. გორში მუშათა კლუბის დარბაზში გაიხსნა საბჭოთა პროფ კავშირის სამაზრო მეორე კონფერენცია. დაესწრო მაზრის სხვა და სხვა კუთხეებიდან და ქ. გორიდან გად მწყვეტი ხმით სულ 16 დელეგატი.

კონფერენცია გახსნა კავშირის პასუხის მგებელ მდივანმა ამხ. ალ. ონიაშვილმა. არჩეულ იქნა ერთხმად პრეზიდიუმი და სეკრეტარიატი შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმში—ამხ. ი. ჯანჯღავა, სერგო ქურდაძე და იზრაელი, სეკრეტარიატში ამხ. ონიაშვილი და კ. ქურდევანიძე. საპატიო თავმჯდომარეებად ამხ. ლენინი და ფილიპე მახარაძე. შემდეგ არჩეულ იქნა სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ქებაძე, აბაზაძე და გრიგორაშვილი.

დღის წესრიგში დასმული იყო საკითხები:

1. პროფ კავშირების ახალი მიზნები და მათი სტრუქტურა.
2. საბჭოთა პროფ კავშირის სამაზ. განყ. ანგარიში.
3. მოხსენება ადგილებიდან.
4. კავშირის ცენტრალურ გამგეობის მოხსენება.
5. არჩევნები სამაზრო პროფ კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის.
6. არჩევნები სამაზრო პლენუმის და დელეგატებისა სამაზრო საერთო კონფერენციისათვის.
7. დელეგატების არჩევნები საბჭოთა პროფ კავშირის სრულიად საქართველოს ყრილობისათვის.
8. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. იზრაელი, რომელიც აცნობს კონფერენციას პროფესიონალურ მოძრაობის თანდათანობითი განვითარებას, დაწყებული ოქტომბრის რევოლიუციიდან—დღემდე, ეხება ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, თუ რა სახით და რა ფორმებში უნდა გამოიხატოს მუშათა მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა. შემდეგ შეეხო ადგილკომების მოვალეობას, მათ ფუნქციებს და დანიშნულებას, ბოლოს აღნიშნა, რა მუშა-მოსამსახურეთა უწყო ეკონომიური მდგომარეობა, მოუწოდა ყველა ადკომებს და კავშირებს ამ მხარეს მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ონიაშვილმა. იგი დაწვრილებით შეეხო ორგანიზაციულ მუშაობას. აღნიშნა, რომ სამაზრო განყოფილების გაუქმებით და მის მაგიერ სექციების დაარსებით პროფ მუშაობა შენელდა, ხოლო განყოფილების აღდგენისთანავე მუშაობა ინტენსიურათ მატულობს და სდგება გაცილებით უფრო მტკიცე საკავშირო აპარატი. მაზრის ფარგლებში ზოგიერთ გამოკლებით მოწყობილია ადგილკომები, ხდება მათი არჩევა, გადახალისება და სხვა. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რამდენათ გამოაცოცხლა თავისუფალ წევრობის კამპანიის ჩატარებამ მუშაობა. განყოფილება აერთიანებს 3 0 წევრს.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან, რაც მიიღეს ცნობად.

ბოლოს მოხდა არჩევნები.

სამაზრო განყოფილების გამგეობაში არჩეულ იქნენ ამხ. ჯანჯღავა, ონიაშვილი, მთვარელიძე, სტრელეცკაია და მელკონოვი. კანდიდატებათ: ქებაძე და იანოვიჩი.

სარევიზიო კომისიაში: ბუხნიკაშვილი, ქურდევანიძე და სერგო მდივანი, კანდ: იასამანოვი.

სამაზრო პლენუმში და კავშირთა სამაზრო კონფერენციაზე არჩეულ იქნენ: იანოვიჩი, ონიაშვილი, ჯანჯღავა, მთვარელაძე, სტრელეცკაია, ალ. ქებაძე, ს. ქურდაძე, იასამანოვი, მკირტიჩიანი და კოტე ქურდევანიძე.

კონფერენცია იხურება ინტერნაციონალის ჰიმნით.

ბლონი.

პროვინციაში

სალხინოს რაიონი.

(სენაკის მაზრა).

სალხინოს რაიონი შესდგება ვიზერთელა თემისაგან. ყველა თემები რაიონულ ცენტრს დაშორებულია კარგა მანძილით.

სალხინოს რაიონი თავისი მრავალ ფეროვანებით ხიბლავს ადამიანს. ამწვანებული მთები მაღლიდან დაჰყურებს, ანკარა მდინარეები მიზხუს ვიწრო კალაპოტებში. სალხინოს თემი მდიდარია მოსავლით. სალხინოს თემი ძველ დროში დიდად იყო დაჩაგრული. აქ იყო საზუდარი პრინც მიტრატისა, რომელიც სისხლსა წოვდა გლეხებს. განვლო თვითმპყრობელობის ხანამ, იწყება მენშევიკების ბატონობა. მშრომელ გლეხობამ ვერც მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ აგრძნობინა შვება სალხინოს გლეხკაცობას. დღეს მიტრატის სასახლეზე ამაყად ფრიალებს წითელი დროშა. პრინც მიტრატის ეზოში თავისუფლად ფუსფუსებს მშრომელი გლეხობა. და სალხინოში არის მთლიანი სკოლა მშვენიერი ბაღით. ეს ბაღი უპატრონობის გამო ფუჭდება, რასაც პედაგოგები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

სალხინოს რაიონში შედის თამაკონის თემი. ეს ღირსშესანიშნავი თემია მეურნეობის მხრით. აქ არსებობს სამეურნეო სკოლა. მუშურ გლეხური მთავრობა მთავარ ყურადღებას აქცევს მეურნეობის განვითარებას.

მთავრობამ საჭიროა გაუწიოს დახმარება სპეციების აღმზრდელ თამაკონის სამეურნეო სკოლას, რომელმაც სამოსწავლო წლის ბოლოს მისცა (9) მომზადებული მეურნეები. მათ შორის რვა წითელი მეურნეები და ერთიც ჩვენი პარტიის თანამგრძნობელი.

სალხინოს რაიონი სენაკის მაზრაში ერთ ერთი საუკეთესო მხარეა, როგორც მოსავლით ისე ხალხის ერთგულებით საბჭოთა ხელისუფლებისადმი. კარგათ გვახსოვს აჯანყებები სალხინოში მენშევიკების წინააღმდეგ. აქ თავისი სიმაღლეზე დგას პარტია და მტკიცდება მისი რიგები. პარტია და კომკავშირი გაცხოველებულ მუშაობაში არიან ჩაბმული. ეწყობა შაბათობა, იმართება მიტინგები, კრებები; არსებობს დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც მართავს წარმოდგენებს დამშეულთა სასარგებლოდ. სალხინოს რაიონი ტექნიკურად მოუწყობელია და მაზრის ცენტრს ძლიერ დაშორებული მოსავალს რაიონის მაშტაბით საუცხოვო პირი უჩანს.

ა. კოკაია.

მარტვილის რაიონი.

(სენაკის მაზრა).

ამა წლის ივნისის თვეს განმავლობაში მარტვილის რაიონის სამ თემში სახელდობრ: მარტვილის, ხუნწის და გაჭედილისა—მოეწყო შაბათობა სამჯერ; წითელ არმიელების, ქვრივ-ობლების და დავრდომილების ოჯახების სასარგებლოდ. მონაწილეობა მიიღო 117 კაცმა, მათში: წევრი პარტიისა 51, კანდიდატი 47 და უპარტიო 19. დამუშავებულია (გათოხნილია) ყანები დაახლოებით 25 ქცევა. მუშაობის ღირებულება დაახლოებით უდრის 2 600.000 მანეთს.

საჭიროა დანარჩენი თემების (სახელდობრ: ნახუნოვის და ნოჯავზოუს) პარტ ორგანიზაციამაც მოაწყოს შაბათობა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს შეუძლო და გაჭირვებულ გლეხკაცობას და ამასთან გაღრმავებს პარტიის გავლენას უპარტიო მშრომელ მასსაზე.

ი. მონიავა.

ხონი.

ერთი მანდილოსანი, მცხოვრები სოფელ ძიძილითისა, თავის თავს უწოდებს „წმინდანს" და სამღვდელოების შემწეობით თანდათან იზიდავს ხალხის ყურადღებას. ახდენენ ეგრეთ წოდებულ „მოვლენებს" და ხსენებულ მანდილოსანის ბინა სავსეა „ღვთის" მავედრებელი ხალხით.

აი ამ დროს სწორედ შეგნებულად სარგებლობს ხალხის მტრები, რომლებმაც თვით მოაწყვეს ეს ბნელი საქმე და ეწევიან მუშაობას მუშურ გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ ამასაც სწრათ აუღო ბოლო ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გრიგოლ ხოშუამ და იმ დროს, როდესაც ის „წმინდანი" რამოდენიმე „მხლებლებით" იცვლის ბინას იმ მიზნით, რომ იქაც გაავრცელოს თავისი „იდეა", ის გამოაცხადის დატყვევებულად, რამაც გამოიწვია ხალხში დიდი გაკვირვება. დატყვევებული იქნენ წარმოდგენილნი ხონის რაიონის მილიციის განკარგულებაში გამოძიებამ აშკარად დაამტკიცა, რომ ამ ამბავს ჰქონდა პოლიტიკური სარჩული, და მოწყობილი იყო აქ დარჩენილ მენშევიკების მიერ. დამნაშავეთა შორის აღმოჩნდა ამავე სოფლის მღვდელი, „დიაკვანი" და ყოფილი გვარდიელები, რომლებსაც, დარწმუნებული ვარ, მიუზღავენ „დამსახურებისამებრ".

აი—ხო.

ქ. ზესტაფონი.

ამა წლის 16 ივლისს შედგა შორაპნის მაზრის თემის აღმასკომების თავმჯდომარეთა კონფერენცია—სამაზრო პარტკომის ბინაზე. დაესწრო ოცი თემის აღმასკომის თავმჯდომარე. კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხ ალ. ვაშაძე, ვალ. გოგობერიძე და იპ. კაპანაძე.

დღის წესრიგში იდგა მოხსენებები:

1. მომენტზე, 2. სამაზრო აღმასკომის მუშაობაზე, 3. თემის აღმასკომების მუშაობაზე და 4. შორაპნის მაზრის ცენტრის ქვიათურაში გადატანაზე.

მიმდინარე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. ალ ვაშაძემ, რომელიც შეეხო გენუის კონფერენციას და აღნიშნა ის გამარჯვებები, რომლებსაც მიაღწია აქ საბჭოთა დელეგაციამ. შეეხო აგრეთვე ბერლინის თათბირს, ესერების პროცესს და გერმანიის უკანასკნელ ამბებს.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

სამაზრო, აღმასკომის წარსულ მუშაობაზე მოხსენება გააკეთა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ალ. ვაშაძემ, რაც მიღებულ იქმნა ცნობად.

შემდეგ დაიწყო მოხსენებები რიგრიგობით თემის აღმასკომების თავმჯდომარეთა, რომლებმაც მოკლეთ აღნიშნეს თემებში წარსული მუშაობა და მდგომარეობა და თითქმის ყველამ ხაზი გაუსვა, რომ სამაზრო და თემის აღმასკომებს ჰქონიათ ურთიერთ შორის მუდმივი და მჭიდრო კავშირი. აღნიშნეს აგრეთვე დეფექტები, რომელთაც ჰქონია ადგილი მოხსენებების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ალ ვაშაძემ და მოუწოდა მათ უფრო ენერგიულ მუშაობისაკენ და იმედი გამოსთქვა, რომ ის პატარა შეცდომები, რომელსაც ჰქონია ადგილი ზოგიერთ თემებში, შემდეგში აღარ განმეორდება.

მაზრის ცენტრის ქვიათურაში გადატანის შესახებ ილაპარაკა ამხ. ალ. ვაშაძემ და გააცნო დამსწრეთ პოლიტიკური, გეოგრაფიული და ისტორიული პირობები და გამოსთქვა აზრი, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება მაზრის ცენტრის გადატანა. ამ კითხვის გარშემო ხანგრძლივი კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით*) მიღებული იქმნა მაზრის ცენტრის ქვიათურაში გადატანა. კითხვების ამოწურვის შემდეგ კრება დახურა თავმჯდომარემ და ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალენ საღამოს ათ საათზე.

საჭიროა ხშირად ხდებოდეს ასეთი კრებები, რითაც საშუალება მიეცემათ ამხანაგებს უკეთ გაერკვიონ მათზე დაკისრებული მოვალეობებში.

სერგო ზარნელი.

---

*) თანახმად ჩვენ მიერ მიღებული ცნობებისა (იხ. ხარაგოულის რაიკომის პლენუმისა და სათემო საბჭოს აღმასკომის წერილი „კომუნისტში" № 168) „შორაპნის მაზრის თემების აღმასკომების კონფერენციის", რომელზეც გვწერს ზესტაფონელი კორესპონდენტი, ხარაგოულ ზესტაფონ ჩხარის რაიონების 21 სათემო აღმასკომიდან დასწრებია მხოლოდ რვა აღმასკომის წარმომადგენელი. საჭიროა ამ საკითხის გამორკვევა.

რედ.

წერილი რედაქციის მიმართ

ვეწერები კომპარტიაში

ცხოვრების უკუღმა ჩარხის ტიალმა, აზრში და გონებაში მოსვლისთანავე, გამაბა ბრძოლის ფერხულში, რომლის დროშას აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" და გაუმარჯოს მუშას და გლეხს. მე ვირიცხებოდი სოც. დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიაში, მაგრამ ის არ გამოდგა მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი. მას გამოეყვნენ მემარცხენე ს. დ. ეგრეთ წოდებული „სხიველები", რომელ წრესაც მე შემდეგ ვეკუთნოდი. ბოლოს და ბოლოს ერთმაც და მეორემაც უღალატეს მუშებს და გლეხებს. დღეს ვინაიდან დავრწმუნდი, რომ მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი ყოფილა მხოლოდ ერთად ერთი კომუნისტური პარტია, ამიტომ ვეწერები ამ პარტიაში, რათა მეც ამოვუდგე გვერდში ჩემს თანამოძმე მუშებს და გლეხებს და გავზიდო ის უღელი, რომელიც აწევს დღეს საერთაშორისო მშრომელ ხალხს.

სიმო ბანძლაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

მიწათ მოწყობის დებულების მე-6 მუხ. დამატების შევსება.

დადგენილება № 12.

სრულიად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საძოვრების შესახებ.

ამა 1922 წლ. მაისის 26 ს თარიღით გამოცემული მიწათ-მოწყობის დებულების მე 6 მუხ. დამატების შესავსებად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. იმ რაიონში, სადაც მკვიდრი მცხოვრებნი, ბუნებრივი პირობების გამო, იძულებულ არიან აწარმოონ მარტოოდენ მესაქონლეობა, მიწის ნორმად პირველი კატეგორიის საძოვრისთვის მიღებულ იქნის ნორმა, დაწესებული პირველი რაიონის მეოთხე კატეგორიის მიწებისათვის, ე. ი. ათი დესეტინა კომლზე, მეორე კატეგორიის საძოვრებისათვის ნორმა გადიდდეს 50 პროცენტით და მესამე კატეგორიის საძოვრისათვის—100 პროც.

შენიშვნა: პირველი კატეგორიის საძოვრად ჩაითვლება მიწა ხშირი და ნოყიერი ბალახით, საკმაო სასმელი წყლით და ტყის პირად მდებარე. მეორე კატეგორიის საძოვრად ჩაითვლება ისეთი საძოვარი, სადაც სასმელი წყალი ნაკლებადაა, ან, სადაც, დაახლოვებით, ერთი-მესამედი მოფენილია სხვილი ქვებით ანდა რომელიც დაშორებულია ტყისა და მდინარეს. მესამე კატეგორიის საძოვრად ჩაითვლება ყველა დანარჩენი, უფრო დაბალი ხარისხის საძოვარი.

2 ნორმის ზედმეტი საძოვარი ჩაირიცხება სახელმწიფო ფონდში დ გაიცემა იჯარად საერთო წესით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ მახარაძე,

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 ივლისის 27.

თბილისი—სასახლე.

პარტიული

ცეკა წინადადებას აძლევს გამოცხადდეს
სამი დღის განმავლობაში
ამხ. ბაბლიძე სოკრატი და ანთაძე ანდრია.
ს. ა. კ. კ. ც. კ.-ში რუსთაველის № 20.

პროფესიონალური

ორშაბათს, 31 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს პლენუმის სხდომა

ფაბრიკა ქარხნებისა და ადგილობრივ კომიტეტების თანადასწრებით.

დღის წესრიგი:

1) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ხუთი წლის თავი.

2) დამზღვევი კასის გამგეობის ანგარიში.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სეკრეტარიატი.

სარედაქციო კოლეგია

გულ დამწვარნი: დედა ეფროსინა, დები: ოლღა, [illegible] და მარიამი, ძმები: კალისტრატე, ბიქტორი, ლევანი, ვარლამი, მინა, გრიგოლი, შალვა და ნესტორი და სიძეები: ივლიანე ხოფერია და რაფაელი დვალი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ მეგობრებს და ნაცნობებს, ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ (მიშა) გიორგის ძის
ბერიძის

უდროოდ გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, კვირას 30 ივლისს 12 საათზე, წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა) (1—1)

საექიმო-სასანიტარო პროფკავშირის აფთიაქების თანამშრომელთა სექციის ბიურო ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ 30 ივლისს, კვირას, დილის 10 საათზე დანიშნულია დაუვიწყარი ამხ.

მიხეილ (მიშა) გიორგის ძის
ბერიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა ნიკოლოზის ეკლესიაში და შემდეგ პანაშვიდი საფლავზედ. (1—1)

თფილისის საბჭოთა აფთიაქების გამგეობა ამით აუწყებენ ამხანაგთ და ნაცნობებს, რომ 30 ივლისს, კვირას დილის 10 საათზე დანიშნულია

ამხ. მიხეილ (მიშა) გიორგის ძის
ბერიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა ნიკოლოზის ეკლესიაში და შემდეგ პანაშვიდი საფლავზედ. (1—1)

ღრმად დამწუხრებული კონსტანტინე ეგნატეს ძე და ვასასი მიხეილის ასული, გურჯანი გაბრიელის ასული, თამარა კონსტანტინეს ასული ბაქრაძეები გულითადი მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარის პირველი და მეორე დედ-მამა, მესამე ბებია, მეოთხე დაი უდროოდ გარდაცვალებულის

მიშიკო კონსტანტინეს ძე
ბაქრაძის

სულის მოსახსენებლათ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში 1 მარიამობისთვეს, დღეთ სამშაბათს, დილის 10 საათზე დაიწყება წირვა. (1—1)

ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი, დიმიტრი (დოდუ მეგრელი), გიორგი, თამარ, მარიკა და ელიკო ხოშტარიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 ივლის გარდაიცვალა პირველი ორის საყვარელი შვილის, დანარჩენების ძმა

ტიტიკო (მიტუშა)

გამოსვენება კვირას, 30 ივლისს დღის 2 საათზე ყოფილ მიხეილის საავადმყოფოდან. ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

განცხადება

თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა

ა. წ. ივლისის 20-დან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის დავით ჩიქოვანის თავმჯდომარეობით იწყება თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების რევიზია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერად იქნა აკრეფილი სხვადასხვა გადასახადები ქალაქ თბილისში, კომისიაში წევრებად შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელნი.

ყველა მოქალაქეთ ევალებათ სხვა და სხვა გადახდილ გადასახადის ყოველგვარი კვიტანციები და კერძო ბარათები წარმოადგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შესამოწმებლად. იმათ, ვინც ზემოაღნიშნულ კვიტანციებსა და კერძო ბარათებს არ წარმოადგენს, გადახდილი გადასახადი ჩაეთვლებათ გაბათილებულად და ხელმეორედ გადახდებათ. განცხადებები და ნახსენები კვიტანციები უნდა ჩაბარდეს კომისიისათვის გადასაცემად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების მდივანს (ოთახი № 21).

თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო
(3—3) სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დ ჩიქოვანი.

მმართველობა ქართ. აქციონერთა საზოგადოების

„ოქროს ვერძი"

ამით აუწყებს აქციონერებს, რომ ის თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვისა შეუდგა საზოგადოების საქმეთა გამორკვევას და მის მოწესრიგებას, რის შემდეგ მოწვეული იქნება საერთო კრება - საზოგადოების განახლებით მოქმედების საკითხის გადასაწყვეტად.

ა. წ. ივლისის 30-ვის დანიშნული საერთო კრება, ფინსახკომის იმავე მიმართვის ძალით გადადებულია.

საერთო კრების მოწვევის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

მმართველობა.

გაზეთის ტრესტის მთავარ

კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება, (0—8)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (25—23)

ტირაჟი 10,000. ნ. ჟ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.